# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 3 დეკემბერი, 2010 წელი.

№225 (6591)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## განგაშის ზარი

## რატომ აღარ სჭირდება ხელისუფლებას მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი?!

ათეული წლების მანძილზე რუდუნებით ნაამაგარი უაღრესად საჭირო სამეცნიერო ერთეული ერთი ხელის მოსმით არ უნდა განადგურდეს!

6

7

## საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სიძულვილი ამაზე შორს ვერ წავა!

ჩვენისთანა პატარა ერს მართლა არ უნდა ჰუმანიტარული მეცნიერება?

რა დღეშიც ვართ



## „ცენტრ-პოინტის“ მიერ „გადაგდებულთ“ ახლა „დექსუსი“ მოუთავებს ხელს?!

## იქნებ ხუდონჰესის აშენებით აკვიცილოთ მოსალოდნელი საფრთხე?

„მიმქრალი შარავანდედი“



3



## რისთვის „უხდის მადლობას“ ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებას?

2

ეუთოს სამიტი ასტანაში: მხოლოდ ყაზახეთმა მოიგო?

8



## სააკაშვილის ორი სახე



იულია ტიმოშენკო დაკითხვაზე დაიბარეს



პირველ პირთა მცირე სისუსტენი



9

5

## ბევრს გვართმევენ, ცოტას კი გვიწყალობებენ

◉ ოპოზიცია



# რისთვის „უხდის მადლობას" ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებას?

## „სახალხო კრების" გაგრძელება...

**რა მოხდა 25 ნოემბერს სახალხო კრების აქციაზე პარლამენტის წინ? — ამაზე უკვე ძალიან ბევრი დაიწერა და ითქვა, მაგრამ ოპონენტებს არ უთქვამთ მთავარი — ნინო ბურჯანაძეს და ნონა გაფრინდაშვილს არსად, არასოდეს დასცდენიათ ის, რომ ამ დღეს ეს ხელისუფლება აუცილებლად დამთავრდებოდა, რომ 25-ში ბოლო მოეღებოდა ყველანაირ კრიზისს, რომ აუცილებლად ხალხი აჯანყებას ან რევოლუციას იწყებდა. ყოველ შემთხვევაში, რამდენჯერმე პირადად გახლდით სახალხო კრების მოსამზადებელ ყრილობაზე, შეკრებაზე, ბრიფინგზე და მსგავსი მოწოდება, ქარაგმა ან მინიშნება არ მომისმენია. მაშინ, რას ელოდებოდა საზოგადოება ეროვნული კრებისგან? ან თუ ელოდებოდა რაიმე რადიკალურ, ქმედით ნაბიჯს, რატომ, ვინ მისცა მათ ამის პირობა? ჩემთვის, ერთი რიგითი ჟურნალისტისთვის გაუგებარია, რა იმედგაცრუებაზეა ლაპარაკი, რა ცრუ მოლოდინზე ან ცრუ დაპირებებზე? ეს რაც შეეხებოდა ჩემს სუბიექტურ მოსაზრებას.**

რაც შეეხება თავად **ნინო ბურჯანაძეს,** ის აბსოლუტურად დამშვიდებული, გაწონასწორებული და მეტიც, იმედებით აღსავსე ჩანდა „პრაიმ-ტაიმის" პრესკლუბში, სადაც ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს თითქმის მთელი საათი უმტკიცებდა იმას, რომ კრებამ თავის დასახულ მიზანს მიაღწია — კრება მრავალმხრივი ხელშეშლის მიუხედავად, მაინც შედგა. მისი აზრით, რაც მთავარია, დელეგატები აირჩნენ, 13 ათას 926 ადამიანის უკან 850 ათასი დგას, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც მიტინგის ხასიათისა იყო, საერთოდ არ უნდა ჩატარებულიყო. „ხალხის გამოსვლას ველოდით. 100 ათასი ადამიანის პროტესტის ხმას სულ სხვა მუხტი და დატვირთვა აქვს, ხელისუფლება პროვოკაციებს ვერ გაბედავს. დიდი რაოდენობით რომ მოსულიყვნენ აქციაზე, მართლაც შეიძლებოდა უფრო ფართომასშტაბიანი და გადამწყვეტი აქციის თარიღი დასახელებულიყო, ან ულტიმატუმი წაგვეყენებინა და ა. შ. მე არ ვაპირებ ყველა დეტალზე ვრცლად ვილაპარაკო, თუ რას ვაპირებდით. უმძიმესი სოციალური ფონია"... სწორედ ამის გამო ბურჯანაძე ფიქრობს, რომ პროტესტის გრძნობა ხალხში კიდევ უფრო



გაღვივდება. წინ დიდი აქციები გველის და პარტის ბოლომდე გაშლას ხელისუფლებისთვის სულაც არ აპირებს.

ვინ იყვნენ ისინი, ვინც პარლამენტში შევარდნას ითხოვდნენ, ან ვინ უთხრა მათ, ასეთი გეგმის შესახებ — ბურჯანაძე ამაში მერაბიშვილის დაქირავებულ პროვოკატორებს ადანაშაულებს, თუმცა მაინც გამოკრთა მის პასუხში ერთი სინამდვილე, როცა სახალხო კრების შიგნით არსებულ განხეთქილებაზე საუბრობდა: **„ბევრს ჰქონდა ამბიცია, რომ სახალხო კრების საინიციატივო ჯგუფის სხდომებს დასწრებოდა, ყველაფერში მიეღო მონაწილეობა, რაც გახდა დაპირისპირების საგანი. თუმცა, როცა ასე ხდებოდა ან არ ხდებოდა, ზოგიერთები გამოდიოდნენ და ყალბ მოლოდინებს აჩენდნენ საზოგადოებაში, არასერიოზულ ინფორმაციებს ავრცელებდნენ".** ანუ მან ირიბად მაინც დაადასტურა, რომ ამ საქმეში მხოლოდ ხელისუფლების დადანაშაულება, უბრალო გულუბრყვილობაა. ბურჯანაძეს არც ის გულწრფელი ადამიანები ავიწყდება, რომლებსაც ასეთი დაპირების სჯეროდათ და ამიტომაც ემოციას ვერ მალავდნენ. **„როცა ავუხსენი მათ, რომ შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ, დამშვიდდნენ და თქვეს, როცა დაგვიძახებთ, გამოვალთო",** — აღნიშნა მან. სწორედ ამ იმედით გულმოცემული სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭო ორშაბათს შეიკრიბა და პარტიულ-საკადრო რესურსებით კომიტეტების შექმნაზე გადაერთნენ. ყველა რაიონში კომიტეტები უნდა ჩამოაყალიბონ და ბოლომდე მიიყვანონ გადაწყვეტილება საყოველთაო სახალხო დაუმორჩილებლობის შესახებ.

ეროვნული ფორუმი ირაკლი მელაშვილმა მართლა ბურჯანაძის ფაქტორის გამო დატოვა თუ არა, დემოკრატიული მოძრაობის ლიდერს ამის მტკიცება უჭირს, თუმცა ძალიან კონკრეტული და მკაცრია „ქართული პარტიის" შეფასებებთან კომენტარისას: **„ოქრუაშვილს მენტორული ტონი არ უხდება. თუ უნდა საკუთარ შეცდომებზე ილაპარაკოს, მაგრამ ხალხის დაშლა-არდაშლაზე მე ნამდვილად ნუ მელაპარაკება. ჩვენ, მისგან განსხვავებით, არ დაგვიძახია ქუდზე კაცისთვის, მოდით და ხელისუფლება შევცვალოთო. ერთ-ერთმა მისმა თანაგუნდელმა ხუთეულიდან კერძო საუბარში მითხრა, შენი რეიტინგი იზრდება, ამიტომ ხალხი უნდა წაგართვათო. ასეთი პარტია, პარტია არაა!"** — დასძინა ბურჯანაძემ.

საარჩევნო გარემოს შეცვლა რომ ხელისუფლებას ვერ შეცვლის, ოპოზიციონერი ლიდერი დღესაც ამ აზრზეა. მას სახალხო დაუმორჩილებლობა მიაჩნია ერთადერთ მართებულ ფორმად ხელისუფლებასთან რეალურად საბრძოლველად. ამის მაგალითად იშველიებს პოლონეთსა და ინდოეთს, სადაც თავის დროზე ეს მეთოდი წარმატებით დასრულდა. **„ოპოზიცია მიიღებს იმას, რაც ადგილობრივ არჩევნებზე მიიღო. ეს იქნება მოლაპარაკების შედეგი. რომ არა ოპოზიცია, რომელმაც აღტაცებით მიულოცა სააკაშვილს გამარჯვება და კარგად ჩამორეცხა ლაქა, სხვა შედეგი გვექნებოდა, სააკაშვილს ხელს არავინ ჩამოართმევდა".**

ნინო ბურჯანაძემ სკანდალურ „Wikileks-ზე" დადებულ მასალებზეც გააკეთა კომენტარი: „თავად ამ ვებგვერდს ბევრი კითხვის ნიშანი აქვს. აქ ჩინეთის ელჩი ამბობს, რომ ნინო ბურჯანაძე იქნება მომავალი პრეზიდენტი, რადგან სააკაშვილზე მოწიფული პოლიტიკოსია, რასაც ვეთანხმები და ვუდასტურებ. დიახ! ეს ასეა, განსაკუთრებით მეორე ნაწილში. ჩემი ასეთი რეკლამისთვის ხელისუფლებას დიდი მადლობა, რადგან ელჩის ეს ჩანაწერი ჩვენმა არხებმა აიტაცეს"...

ვინ იცის, გამართლდება თუ არა ნინო ბურჯანაძის სურვილი — გახდეს, საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, მაგრამ სახალხო კრების ყველაზე დიდი მიზანი, პირადად მისთვის ფაქტია, რომ სწორედ ესაა. **„არანაირი გაზაფხული და არანაირი მიტინგი მიტინგებისთვის არ ჩატარდება. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია „უნდობლობის ვერდიქტის" გამოქვეყნება, მიმართვა საერთაშორისო მეგობრობისადმი „ქომაგის ინსტიტუტის" შექმნა, რომელიც ყოველგვარი ფსიქოლოგიური ტერორისგან დაიცავს ხელისუფლებისგან შერისხულ რიგით ადამიანებს და რაც მთავარია, უმნიშვნელოვანესია კომიტეტების შექმნა. როგორც კი ბოლო კომიტეტი გვეტყვის, რომ მზად არიან დაუმორჩილებლობის დასაწყებად, ჩვენ მოქმედებებს დავიწყებთ. შემოგვიერთდეს ყველა, კრიტერიუმი ერთადერთია — ნამდვილი ოპოზიციონერობა", — აღნიშნა ბურჯანაძემ. მისი სიტყვებით თუ ვიტყვით, ჯერჯერობით „სახალხო კრებას" ხელისუფლება მაინცდამაინც არც ერჩის, ყოველ შემთხვევაში ღიად და აფიშირებულად. სამაგიეროდ ამ ორგანოსა და მისი იდეების დისკრედიტირებას ზოგიერთი ოპოზიციური პარტია და მათი იდეური მხარდამჭერები კარგად ახერხებენ...**

თეა მოსია

◉ ინფორმაცია

## იულია ტიმოშენკო დაკითხვაზე დაიბარეს

**უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო უკრაინის გენერალური პროკურატურის მთავარ საგამოძიებო სამმართველოში დაკითხვაზე გამოიძახეს.**

**— უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა გენერალურ პროკურორს ვიქტორ შპონკას მისცა პირდაპირი მითითება, გააძლიეროს ოპოზიციის დევნა და დაანგრიოს იულია ტიმოშენკოს პარტია, — იუწყება იულია ტიმოშენკოს პარტიის პრესსამსახური.**

**შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ იულია ტიმოშენკომ ქვეყნის ექს-პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა და უკრაინის პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე**



**ვლადიმერ ლიტვინი კვლავ დაადანაშაულა ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის შეკვეთაში. „ხოლო უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ დამალოს ეს და დაიცვას დამნაშავეები", — დარწმუნებულია ტიმოშენკო.**

## სპეციალურ ტურისტულ პაკეტებს შესთავაზებენ

**15 დეკემბრიდან ტურიზმის ეროვნული სააგენტო, კერძო სექტორთან ერთად, სვანეთში დასვენების მსურველებს სპეციალურ ტურისტულ პაკეტებს შესთავაზებს.**

**ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სტანდარტულ ტურისტულ პაკეტებთან ერთად, შემუშავდება ასევე „ვიქენდ-ტურები„ და „კორპორატიული პაკეტები".**

**ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მაია სიდამონიძის განმარტებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სვანეთის დატვირთვა მაქსიმალურად გაიზარდოს.**

**უკვე ცნობილია, რომ მესტიის მიმართულებით იფრენს კანადური ავიაკომპანია.**

## უზენაეს სასამართლოში წიგნის პრეზენტაცია გაიმართა

**უზენაეს სასამართლოში წიგნის „ქართული სამართლის ძეგლები„ პრეზენტაცია გაიმართა.**

**წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 24 სამართლის ძეგლის ნიმუში. მათ შორისაა ქართველი მეფეების ბაგრატ IV-ის, გიორგი III-ის, თამარის, ერეკლე II-ის, სოლომონ II-ის და გიორგი XII-ის ხელმოწერებით დადასტურებული სიგელები. ასევე ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი სამართლის წიგნთა კრებული და დასტურლამალი.**

**გამოცემის მიზანია, საზოგადოებას წარმოდგენა შეუქმნას შუა საუკუნეების ქართულ სამართალსა და მართლმსაჯულებაზე.**

**გამოცემა მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ პარლამენტი

## კანონში ცვლილებები შედის

**ადმინისტრაციული ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ან ავტორობით გამოცემულ ნაბეჭდ პროდუქციაზე საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე განთავსდება.**

**ცვლილება შედის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ„ კანონშიც.**

კანონპროექტის თანახად, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია სასკოლო სახელმძღვანელოებზე, ბროშურებზე, ბუკლეტებზე,ბარათებზე, გზამკვლევებზე, ინსტრუქციებზე და ა.შ. განთავსდება.

როგორც კანონპროექტის ავტორმა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ განაცხადა, ინიციატივის მიზანი ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდაა. კერძოდ კი, საქართველოს მოსახლეობისთვის რუსეთის ფედერაციის მიერ ტერიტორიების ოკუპაციის, ამ ტერიტორიებზე განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად დაახლოებით 400 ათასი ადამიანის გამოდევნის და დაახლოებით 30 ათასი ადამიანის დაღუპვის ფაქტების მუდმივი შეხსენებაა.

◉ თანადგომა

## ამერიკამ კიდევ ერთხელ დაგვიჭირა მხარი



**აშშ-ს საქართველოს მიმართ უცვლელი დამოკიდებულება აქვს და ეს ოფიციალურ და არაოფიციალურ ჩანაწერებში დადასტურდა — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ფილიპ კროულიმ.**

ფილიპ კროულიმ ვაშინგტონის პოზიცია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გამოხატა და ასტანაში მიმდინარე სამიტის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა.

საუბარი იყო საქართველოს პრეზიდენტისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის შეხვედრაზეც.

„სახელმწიფო მდივანს შეხვედრა ჰქონდა პრეზიდენტ სააკაშვილთან. ცხადია, ეს ხაზს უსვამს ჩვენს მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და დარწმუნებული ვარ, ეს იყო განხილვის მთავარი თემაც. ჩვენ საჯაროდ იმასვე ვამბობთ, რასაც პირად საუბრებში. ჩვენ ვაგრძელებთ თანამშრომლობას და ეუთო ამ მხარდაჭერის საკითხში მთავარ როლს ასრულებს„, - განაცხადა კროულიმ.

ჯი-ეიჩ-ენი

მიმართვა

# იქნებ ხუდონჰესის აშენებით ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხე?

**საქართველოს პრემიერ-მინისტრს ნიკა გილაურს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ვერა ქობალიას**

**როგორც პრესის ფურცლებიდან (2010 წლის 22-28 ნოემბრის გაზეთი „კვირის პალიტრა“) გახდა ცნობილი, ჩვენი მეზობელი, სომხეთის რესპუბლიკა, გეგმავს 1100 მგვტ სიმძლავრის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას, რომლის ღირებულება, როგორც აღნიშნავენ, 6 მილიარდი ევრო იქნება.**

აქტიური მიწისძვრის რეგიონში ახალი ატომური ელექტროსადგურის აშენება საფრთხეს უქმნის არა მარტო სომხეთში, არამედ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ყველა ადამიანს, რაც კარგად არის ცნობილი.

ქვემო ქართლის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სპეციალისტების ერთი ჯგუფის აზრით, თუ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება შეუთანხმდება სომხეთის ხელისუფლებას და სომხეთი უარს იტყვის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე, ჩვენს ქვეყანას შეუძლია სააქციო საზოგადოების დაფუძნებით და ხუდონჰესის აშენებით 500-700 მგვტ სიმძლავრის ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მთლიანად მიაწოდოს სომხეთის რესპუბლიკას.

ამ პროექტის რეალიზაციით გადაიდგმება რეალური და მყარი ნაბიჯები ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული ერთიანი, მშვიდობიანი კავკასიის იდეის ხორცშესასხმელად (როგორც ცნობილია, ნებისმიერი რეგიონის მშვიდობიანი თანაარსებობა წარმოუდგენელია ურთიერთსასარგებლო მყარი ეკონომიკური კავშირების გარეშე). ეს ღონისძიება მთლიანად უპასუხებს გაეროს მოთხოვნებს ელექტროენერგიის საწარმოებლად განახლებადი რესურსების გამოყენების თაობაზე.

შესაძლებლად მიგვაჩნია, თქვენი დავალებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამოაცხადოს ღია ტენდერი ხუდონჰესის მშენებლობის ბიზნეს-გეგმაზე, ხოლო ტენდერში გამარჯვებულმა იურიდიულმა პირმა გამოუშვას აქციები მშენებლობის ფულადი სახსრებით უზრუნველსაყოფად. აქციების საწყისი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1500-2000 დოლარს, რომ ჩვენი ქვეყნის რაც შეიძლება მეტმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა იყიდოს აქციები და შემდგომ მიიღოს შესაბამისი მოგება.

ჰესის მშენებლობის დაწყება და მისი ექსპლუატაცია ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დამკვიდრებას საქართველოში. გაუჩნდებათ რა თუნდაც მცირე „უშრომელი“ და მყარი შემოსავალი, მაღალი ინტელექტისა და შრომითი უნარ-ჩვევების მქონე ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი საკუთარ ქვეყანაში დასაქმდებიან.

დარწმუნებული ვართ, პროექტის განხორციელებას დადებითად შეაფასებენ რეგიონის სხვა მაცხოვრებლებიც და მსოფლიოს საზოგადოების ის ნაწილიც, ვისაც კავკასიის მშვიდობიანი განვითარება სურს.

**ბოლნისის არასამთავრობო ორგანიზაციათა სახელით:**

**ნუგზარ კობახიძე,**
**გიორგი დემურაშვილი,**
**დავით სიმონიშვილი,**
**გაიოზ მენთეშაშვილი.**

„ექსპერტის“ კომენტარი

# „მიმქრალი შარავანდედი“

**ბევრ მიკიბვ-მოკიბვას არ დავიწყებ და პირდაპირ ვიტყვი: როდესაც თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორად ანდრო ბარნოვის დანიშვნის ამბავი გავიგე, მაშინვე ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანი „მიმქრალი შარავანდედი“ გამახსენდა.**

შემეძლო ეს წერილი აქვე დამემთავრებინა, მაგრამ ვიფიქრე, რაც არ უნდა იყოს, ავლანეთში ნამყოფი კაცია. თან, როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ნოდარ ხარშილაძემ მისი რექტორად წარდგენის დროს განაცხადა, **„ანდრო ბარნოვი თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტია და მასთან ერთად თავდაცვის რეფორმებისა და ნატოში ინტეგრაციის პროცესში არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდაო“**. კიდევ დაამატა, რომ ბარნოვი საკმაოდ დიდი ხანია, ჩვენთან არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმატით თანამშრომლობს. ბოლო წელს განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმებისადმი ორმხრივი ინტერესი იქნა გამოთქმულიო.

ჰოდა, ეს ყველაფერი რომ გავიგე, გადავწყვიტე, მეც ექსპერტის „მანტია მომერგო“ და კარგად გამეანალიზებინა ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ამ ნაბიჯის ყველა პლუსი და მინუსი.

რაღა დაგიმალოთ და, მსჯელობის დროს აქცენტი, პირველ რიგში, „უცნობის“ ერთ-ერთი სიმღერის ფრაგმენტზე: „აბაშიძედ გადაკეთდა ნახევარი, აწყენინეს ბარნოვს“ გავაკეთე.



მიმიხვდით, ხომ? პრინციპში, რატომაც არა?

იმ ჩვენი ხელისუფლებიდან, რომელმაც ფრაზაში: „ერთი ბილეთი სოხუმამდეე (ორი „ე“ კორექტურა არ გეგონოთ. ასე ამბობს და რა ვქნაძ, ღირსების ორდენი მისცა ნინა წკრიალაშვილს და ვერა ქობალია ეკონომიკის მინისტრად დანიშნა (ამ დანიშვნის მიზეზს ვერ გეტყვით, რადგანაც ჩემთვის „უცნობია“ძ, მსგავსი დაწინაურება სულაც არ არის გასაკვირი.

შემდეგ კიდევ უფრო ჩავუღრმავდი საკითხს და სააკაშვილის ევროპარლამენტში გამოსვლის დროს გაკეთებული ის გზავნილი გამახსენდა, რომლის გახმიანების შემდეგ ობამამ პირდაპირ უთხრა მედვედევს: – აჰა, ხომ ხედავ, აღარ აპირებს საქართველო თქვენზე თავდასხმას. ჰოდა, კეთილი ინებე და ბირთვული შეიარაღება შეამცირეო! რაზეც მედვედევი გაწითლდა და მორცხვად დახარა თავი.

ეს დანიშვნა ხომ პირდაპირ უკავშირდება საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების მიმართ თავდაუსხმელობის პირობას.

როგორ?

როგორ და ძალიან მარტივად.

აბა, ანდრო ბარნოვის მიერ აღზრდილი სამხედროები რომელი ქვეყნის წინააღმდეგ შეძლებენ აგრესიის განხორციელებას?

ასე რომ, ამ დანიშვნით ჩვენმა ხელისუფლებამ ფაქტობრივად ორი კურდღელი დაიჭირა. ჯერ ერთი, ნაწყენი ბარნოვი მოიმადლიერა და მეორეც, უდიდესი ნაბიჯი გადადგა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების მიზნით.

**ვერ გეტყვით, რამდენად „ექსპერტული“ მსჯელობა გამომივიდა, მაგრამ საქართველოს რომ ნელ-ნელა მიმქრალი შარავანდედი რჩება, ეს ნამდვილად უდავოა.**

**გია გაბრიჭიძე**

რა დღეშიც ვართ



# სამშენებლო ავანსცენის ახალი პერსონაჟი: ვნებანი და რეალობა

***ორთვენახევრის წინათ სამშენებლო კომპანია „ცენტრ-პოინტმა“ და საინვესტიციო და სამშენებლო კომპანია „დექსუსმა“ საზეიმოდ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად ამ უკანასკნელმა სამწლიან მმართველობაში გადაიბარა „ცენტრ-პოინტის“ მთელი ქონება თავისი დავალიანებებითურთ. მაშინ „ცენტრ-პოინტისგან“ ახალი ბინის მომლოდინე მრავალმა ოჯახმა შვებით ამოისუნთქა, გვეშველაო, მაგრამ, როგორც ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გვაჩვენა, სადღეისოდ შექმნილი მდგომარეობა მოლოდინისგან ძალიან შორსაა.***

თავიანთი პრეტენზიების გამოსათქმელად, „ცენტრ-პოინტის“ კლიენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი გუშინ „დექსუსის“ ცენტრალურ ოფისთან კიდევ ერთხელ შეიკრიბა.

– აქციის მიზანია „დექსუსის“ ხელმძღვანელობას ძალაში დავატოვებინოთ თითოეულ ჩვენგანსა და „ცენტრ-პოინტთან“ თავის დროზე გაფორმებული ხელშეკრულებები, ვინაიდან, ჩვენი აზრით, სამშენებლო კომპანიის მმართველობის შეცვლა არ უნდა ნიშნავდეს მასთან ახალი ხელშეკრულების დადებას, როგორც ამჟამად „დექსუსი“ აპირებს, – თქვა აქციის ერთ-ერთმა ინიციატორმა ანი დოჩანაშვილმა. – საქმე ის არის, რომ „დექსუსის“ მიერ შედგენილ ახალ ხელშეკრულებას თავისუფლად შეიძლება „კაბალური“ ვუწოდოთ იმ მარტივი მიზეზით, რომ, დამატებული პირობების თანახმად, კომპანია ჩვენგან ბინის მთლიან საფასურს ზემოთ კიდევ დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდასაც ითხოვს, რომელიც 18 პროცენტს შეადგენს! ამის გარდა, ძველი ხელშეკრულების პირობების თანახმად, ბინები უნდა მიგვეღო ე. წ. „თეთრი კარკასით“, ახლა კი ყველას ერთიანად გვთავაზობენ „შავკარკასიან“ ბინებს, რომლებშიც საყოფაცხოვრებო კომუნიკაციები იქნება შეყვანილი, ხოლო შიგნით... გაჯით სავსე ტომრებს დაგვახვედრებენ – კედლები თავად გალესეთო(?!ძ. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ისიც ვთქვა, რომ ეს ბოლო პირობა ხელშეკრულების ტექსტში არ ფიგურირებს, მას, ასე ვთქვათ, „ზეპირსიტყვიერი“ ფორმა აქვს.

ქალბატონ დოჩანაშვილისა და აქციის სხვა ორგანიზატორთა თქმით, „დექსუსის“ მიერ შეთავაზებულ ახალ ხელშეკრულებაში არის კიდევ ერთი საკმაოდ ბუნდოვანი პუნქტი: „ცენტრ-პოინტთან“ დადებულ ხელშეკრულებაში, ასე ვთქვათ, „იპოთეკურ პუნქტში“ აღნიშნული იყო, რომ, როცა ბინის მეპატრონე საცხოვრისს ჩაიბარებდა და მას საჯარო რეესტრში გაატარებდა, იგი იპოთეკისგან თავისუფალი იქნებოდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამშენებლო ფირმას იგი კომერციულ ბანკში დაგირავებული არ ექნებოდა. ახლა კი, აქციის ინიციატორთა თქმით, მათ აქვთ იმის საფუძვლიანი ეჭვი, რომ თუკი ისინი „დექსუსთან“ ახალ ხელშეკრულებას გააფორმებენ, მშენებარე ბინები, შესაძლოა, იპოთეკით დაიტვირთონ. ამიტომ, მათ კომპანიის ხელმძღვანელობას დაუტოვეს თავიანთი ჩამოყალიბებული თხოვნები, რომელთა შორის ერთ-ერთია – მომზადდეს კრების ოქმი ფართის განაწილების შესახებ, რის შემდეგ მათ ექნებათ იმის საშუალება, რომ თავიანთი მშენებარე ბინები საჯარო რეესტრში წინარე გაატარონ, რის შემდეგ კომპანიას მათი ბინების იპოთეკით დატვირთვის შესაძლებლობა აღარ ექნება და მას ვერც საგადასახადო სამსახური ყადაღას ვერ დაადებს. მოკლედ, ამით **ხალხს უნდა, რომ თავიანთი მშენებარე ბინები მათსავე საკუთრებაში ოფიციალურად ირიცხებოდეს.** თუმცა, კომპანიაში ხალხს მანამდე განუცხადეს, რომ ამ პირობას არ შეუსრულებენ, ვიდრე კლიენტები დღგ-ს არ გადაიხდიან. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „დექსუსი“ თავიანთ მომხმარებლებს დღგ-ს გადახდას სამი წლის მანძილზე გარკვეული გრაფიკით სთავაზობს, ანუ იმ დროში, რა დროის მანძილზე „ცენტრ-პოინტი“ მის მმართველობაში იქნება.

აქციის ინიციატორები იმასაც აღნიშნავენ (და ეს რედაქციას სარწმუნო წყარომაც დაუდასტურაძ, რომ, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს იმასთან, რომ ის გადასახადები, ამ შემთხვევაში დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც სამშენებლო კომპანიას უნდა გადაეხადა (ამ შემთხვევაში „ცენტრ-პოინტს“ძ, სახელმწიფოსთვის თავად უნდა გადაეხადა, თუმცა იმის ოდენობა, ცხადია, საცხოვრისას კვადრატული მეტრის ფასში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. თავის დროზე „ცენტრ-პოინტმა“, კლიენტთა მოსაზიდად, მრავალ ობიექტზე კვადრატულ მეტრ ფართზე დაბალი ფასი დააწესა, მაგრამ დღგ-ს თანხები არ გადაუხდია... ახლა კი, „სხვისი ვალების“ გადახდას, ადრე ნაკისრი პირობების მიუხედავად, აღარავინ აპირებს. ამიტომაც არის, რომ ახლა „სამშენებლო ავანსცენაზე“ ახალი „მოქმედი პირი“ – გადახალისებული ხელშეკრულება გამოვიდა. თანაც, რამდენადაც რედაქციისთვის გახდა ცნობილი, ეს დამატებითი ტვირთი მხოლოდ იმათ დააწვება, ვისაც კვადრატული მეტრი ფართი შედარებით დაბალ ფასად აქვს ნაყიდი.

**ისე კი, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში ახლო მომავალში სხვა დეველოპერული კომპანიების კლიენტებიც აღმოჩნდებიან, ხოლო სამართლის ძებნაში კლიენტები სასამართლოს რომ მიმართავენ, ამას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ვითარება

*ბიზნესი მთავრობასთან თავის პრობლემებზე ჩივის და პოზიციების გამყარებას ცდილობს. „საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციამ“ კერძო სექტორის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ ფინანსთა მინისტრს უკვე ოფიციალურად აცნობა და მთავრობისგან საბანკო გარანტიის გაუქმება ითხოვა. კერძო სექტორი ამბობს, რომ საბანკო გარანტიებთან, საბაჟო გაფორმებიდან გამომდინარე სპეციფიკურობასთან, ტვირთზე კოდების მინიჭებასა და საჯარიმო ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით პრობლემებია.*

*რეგიონის ბიზნესმენებს ოპერირებისთვის რომ გარკვეული პრობლემები ექმნებათ, ამას მთავრობის კანცელარიის კერძო სექტორის ხელშეწყობის საკითხებში მრჩეველთა ჯგუფის უფროსიც ადასტურებს. გიორგი პერტაიას განმარტებით, ბიზნესის მოთხოვნა აბსოლუტურად ლოგიკურია, თუმცა საბანკო გარანტიის გაუქმებას გარკვეული რისკებიც აქვს.*

# იქნებ საქმისთვის ასე აჯობოს?

## ბიზნესი მთავრობისგან საბანკო გარანტიის გაუქმებას ითხოვს



არსებული კანონმდებლობით, საბაჟო გადამუშავების რეჟიმში შემოსული საქონლის საბაჟო გაფორმებისას შემოსავლების სამსახურში საბანკო გარანტიის წარდგენა აუცილებელია. როგორც „საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციაში“ განმარტავენ, 2010 წლის ზაფხულიდან შემოსავლების სამსახური ყველა დეკლარაციაზე ახალ გარანტიას ითხოვს. მეწარმეს წაერთვა შესაძლებლობა, ჰქონოდა ერთი საბანკო გარანტია და ის მრავალჯერადად გამოეყენებინა. ამასთან, საბაჟო სამსახური ითხოვს საბანკო გარანტიის ორიგინალს და არ იღებს ადგილობრივი ფილიალის მიერ დამოწმებულ სათავო ოფისში გაცემულ საბანკო გარანტიას.

**„ობიექტური მიზეზების გამო, გარკვეულ შემთხვევებში შეუძლებელია დადგინდეს ტვირთის (სატრანსპორტო საშუალებით თუ გემით) მიღების ზუსტი დღე, მით უმეტეს, თუ საქმე ეხება მსხვილ წარმოებას. ხშირია შემთხვევა, როცა ტვირთის მიღების დღე ემთხვევა შაბათს ან კვირას. შაბათსა და კვირას ბანკი არ მუშაობს. შესაბამისად, შეუძლებელია საბანკო გარანტიის აღება. გემის მიღების შემთხვევაში არსებული წესებიდან გამომდინარე, დადგენილია დრო, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს მისი საბაჟო გაფორმება და გადმოტვირთვა. საბანკო გარანტიის გარეშე შეუძლებელია საბაჟო გაფორმება, რაც თავის მხრივ, აჩერებს სხვა მოქმედებებს“,** — აცხადებენ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას „საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციაში“.

მთავრობის კანცელარიის კერძო სექტორის ხელშეწყობის საკითხებში მრჩეველთა ჯგუფის უფროსი კი აცხადებს, რომ როდესაც საბაჟოზე გადამუშავების რეჟიმში საქონელი შემოდის, მეწარმე გარანტიის სანაცვლოდ საბაჟო გადასახადისგან თავისუფლდება.

**„მეწარმეს შემოსავლების სამსახური ეუბნება — შემოიტანე პროდუქცია, გადაამუშავე და ქვეყნიდან მზა პროდუქცია გაიტანე. თანაც, ეს ყველაფერი მოხდება საბაჟო გადასახდელების გარეშე. ოღონდ იმისათვის, რომ მთავრობას ჰქონდეს გარანტია, რომ ეს პროდუქცია თავისუფალ ვაჭრობაში არ მოხვდება, როგორც კონტრაბანდა, ამისათვის წარმომიდგინე იმპორტის გადასახდელების ოდენობის გარანტია. თუ გარანტია გაუქმდება, მაშინ რჩება ღია რისკი, რომ საქონელი თავისუფალ ვაჭრობაში მოხვდეს, ანუ წარმოიქმნას კონტრაბანდა. თუმცა ეს რისკები მცირდება იმის პარალელურად, რაც შემოსავლების სამსახურის მხრიდან ადმინისტრირების ხარისხი იზრდება“,** — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში გიორგი პერტაია.

ბიზნესგაერთიანებაში ამბობენ, რომ ეს ყველაფერი კი საბოლოოდ ბიზნესს აზარალებს, რადგანაც კერძო სექტორს დამატებითი ხარჯის გაწევა უწევს.

**„თუ საბანკო გარანტიის თანხა არ იქნება ამოწურული სრულად და არ გაუქმდება საბანკო გარანტია, მის გაუქმებამდე მომსახურებისთვის გადახდას ექვემდებარება საკომისიო სრული თანხიდან. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან მაგალითს: 300 000-იანი საბანკო გარანტიის მოქმედების შემთხვევაში, თუ გატანილია საქონელი და დარჩენილია საქონელი, რომლის ღირებულების გამო მოქმედებაშია 2000 ლარი, ბანკის სასარგებლოდ გადახდას დაქვემდებარებული საკომისიო თანხა დაითვლება 300 000 ლარიდან და არა 2000 ლარიდან (ფაქტობრივად ვიყენებთ 2000 ლარს, მაგრამ ვიხდით 300 000 ლარის საკომისიოს)“,** — განმარტავენ „საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციაში“.

პრობლემის აღმოსაფხვრელად ბიზნესმენთა ნაწილი მთავრობას საბანკო გარანტიის გაუქმებას, ან არაერთჯერადად სარგებლობის შესაძლებლობას სთხოვს. **„ყოველი გაზრდილი ხარჯი პროდუქციის ფასს ზრდის, რაც, თავის მხრივ, საწარმოს კონკურენტუნარიანობას ასუსტებს. ხარჯების შემცირება კი მეწარმეს პროდუქციის ფასის შემცირების შესაძლებლობასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალებას მისცემს“,** — განმარტავენ ბიზნესმენები.

მთავრობის კანცელარიის კერძო სექტორის ხელშეწყობის საკითხებში მრჩეველთა ჯგუფის უფროსის განმარტებით, მთავრობა მზადაა, ბიზნესის საჩივრები და წინადადებები მოისმინოს და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს კიდეც.

**„3-4 წლის წინათ გარანტიების გაუქმებაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო, თუმცა დღეს, როდესაც ადმინისტრირება მაღალ დონეზეა, შესაძლოა ამ რისკების შესუსტებაზე ვისაუბროთ და მჯერა, რომ ამ ნაწილში არის გარკვეული ფანჯარა და შესაძლებელია ისეთი კონსესუსის მიღწევა, სადაც ორივე მხარე იქნება დაკმაყოფილებული“,** — აცხადებს საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას პერტაია.

მისი განმარტებით, შემოსავლების სამსახური მზადაა, საკითხის გადამუშავება დაიწყოს.

**„ამ თემაზე შემოსავლების სამსახურთან საუბარი მქონდა და ის მზადაა ამ საკითხის დამუშავება დაიწყოს. შემოსავლების სამსახურს აღარ აქვს ისეთი მიდგომები, როცა მიიჩნევდნენ, რომ ადმინისტრირება იყო მთავარი. დღეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ბიზნესს ოპერირება გაუადვილდეს.**

**საქართველოში გადამუშავება ნიშნავს ძალიან ბევრ სამუშაო ადგილს და დასაქმებულ მოსახლეობას. როდესაც ადმინისტრირება უმჯობესდება, უფრო მარტივია ისეთი ნაბიჯების გადადგმა, როგორიცაა გარანტიების წარდგენის გარკვეულ დონეზე შემცირება. იმის ილუზია არ არის, რომ დღეს ან ხვალ ეს გარანტიები საერთოდ გაუქმდეს, თუმცა, შესაძლოა, ერთიანი გარანტია შემოვიღეთ. შემოსავლების სამსახური პროცესებს დააკვირდება და ამის შემდეგ შესაძლოა გარანტიების გაუქმების საკითხიც დადგეს“,** — აცხადებს პერტაია.

მთავრობის კანცელარიის კერძო სექტორის ხელშეწყობის საკითხებში მრჩეველთა ჯგუფის უფროსი ამბობს, რომ ყველაფერი გაკეთდება პროცედურების გამარტივებისთვის, მაგრამ არა რისკების გაზრდის ხარჯზე.

გარანტიებთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემას ართულებენ თავად კომერციული ბანკებიც, რადგანაც ბანკების რეგიონალურ ოფისებს არ აქვთ საბანკო გარანტიების გაცემის უფლება — მათ მხოლოდ ცენტრალური ოფისები გასცემენ. შესაბამისად გარანტიის მოთხოვნის შემთხვევაში ადგილობრივი ფილიალი იწყებს შეთანხმებას ცენტრალურ ფილიალთან. საბოლოოდ შეთანხმებისა და საბანკო გარანტიის ადრესატამდე მიღწევისთვის კი საკმაოდ დიდი დროა საჭირო.

**„აღნიშნული პრობლემიდან გამოსავალს ვხედავთ იმაში, რომ საბაჟო სამსახურმა მიიღოს ადგილობრივი ფილიალის მიერ დამოწმებული სათავო ოფისში გაცემული საბანკო გარანტია. ეს არანაირ რისკის ქვეშ არ აყენებს საბაჟო სამსახურებს, რადგანაც ფილიალი მოქმედებს სათავო ოფისის ბაზაზე, მისი ტერიტორიული ქვედანაყოფია და სათავო ოფისი სრულად პასუხისმგებელია ფილიალის საქმიანობაზე. გამომდინარე აქედან, დამოწმებული საბანკო გარანტიას იურიდიულად აქვს ისეთივე ძალა, როგორც ორიგინალს. ასეთი მიდგომა მეწარმისთვის არის მომგებიანი იმით, რომ ბანკებს შიდა ელექტრონული ქსელის მეშვეობით შეუძლიათ ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის ასეთი დოკუმენტაცია თავიანთ ფილიალებს მიაწოდონ დაუყოვნებლივ და რეგიონში მომუშავე მეწარმეს აღარ ეკარგება დრო მისი მიღებისთვის. ასეთი გზით თავიდან აცილებული იქნება გაუმართლებელი დროის კარგვა საბაჟო გაფორმებისას“,** — განმარტავენ „საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციაში.

ექსპერტთა ნაწილი „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას აცხადებს, რომ გარანტიები რეგიონალურ დონეზეც უნდა გაიცემოდეს. ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლექვინაძე ამბობს, რომ ბიზნესის მოთხოვნა სამართლიანია და მის დასარეგულირებლად ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი ზომების გატარებაცაა საჭირო.

**„მეწარმეებისთვის საბანკო გარანტიები, მათი ერთჯერადობა და საბაჟო სამსახურის მოთხოვნა, რომ ისინი მხოლოდ ბანკების სათავო ოფისის მიერ იყოს გაცემული, რა თქმა უნდა, ქმნის პრობლემებს დროის თვალსაზრისით, ამიტომ მეწარმეთა მოთხოვნები ამ პრობლემური საკითხების გადაჭრასთან დაკავშირებით სამართლიანია, იქედან გამომდინარე, რომ საბაჟო გაფორმების დროში გაჭიანურება მეწარმეებს უზრდის დანახარჯებს, განსაკუთრებით ეს მცირე მეწარმეებისთვის არის პრობლემური. ეს აისახება პროდუქციის ფასში და აძვირებს მას, მცირე მეწარმეების კონკურენტუნარიანობა და შემოსავალი კი მცირდება. საბაჟო სამსახურის სტრატეგია, საბაჟო პროცედურების მაქსიმალურ სიმარტივესთან დაკავშირებით უნდა იყოს რეალიზებული, მეწარმეებისთვის სერვისები იყოს კომფორტული, რაც გამორიცხავს ბევრი სპეციფიკური საკითხის მოგვარებას, რომლებიც მეწარმეებს უზრდის როგორც დროის, ასევე ფინანსურ ხარჯებს. უნდა აღიკვეთოს მეწარმეთა უსაფუძვლოდ დაჯარიმების პრეცედენტები, მეწარმეები ხშირად არ არიან ინფორმირებულები სანქციების შესახებ და ძალიან ხშირია მათი დაჯარიმების ფაქტები, რაც ბუნებრივია, აძვირებს განბაჟების ხარჯებს. ვფიქრობ, რომ საბაჟო სექტორში გატარებული რეფორმებისა და ბევრი პროცედურის გამარტივების მიუხედავად, მაინც რჩება ბევრი სპეციფიაური და ტექნიკური საკითხი, რომელიც მეწარმეებისა და ფიზიკური პირებისთვისაც დისკომფორტს ქმნის. ძალიან მნიშვნელოვანია იმპორტიორებისა და ექსპორტიორების შენიშვნების მოსმენა და გაზიარება არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და მათი ეფექტურად გადაჭრა“,** — აცხადებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლექვინაძე.

პრობლემის აქტუალობაზე და მისი განხილვის აუცილებლობაზე საუბრობს კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი დავით ნარმანიაც.

**„საბანკო გარანტიები 2007 წლიდან შემოიღეს, როდესაც მაშინდელი ახალი საბაჟო კოდექსი მიიღეს. მაშინაც ბიზნესი საკმაოდ სამართლიანად ითხოვდა გარანტიების მოცულობის შემცირებას ან საერთოდ გაუქმებას. როდესაც იმპორტიორებზე თუ სხვა რეჟიმით საქონლის განმკარგავ ბიზნესზე დაწესებულია საბანკო გარანტია, რასაკვირველია, ეს დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი საქონლის თვითღირებულების გაზრდას იწვევს და ფასების საერთო დონეზე უარყოფითად მოქმედებს. ამდენად, სასწორის ერთ მხარეს ფინანსური რისკების შემცირება დევს, ხოლო, მეორე მხრივ, ბიზნესის ტვირთის და ბაზარზე ფასების ზრდა. ისეთ პირობებში, როდესაც შემოსავლების სამსახური ძალიან მკაცრ ადმინისტრირებას ახორციელებს, ფინანსური რისკები მნიშვნელოვნად მცირეა და სრულიად შესაძლებელია, ხელისუფლებამ საბანკო გარატიები დათმოს. ვფიქრობ, მან ბიზნესმენთა პრობლემები და მოსაზრებები ბიზნესომბუდსმენთან უნდა განიხილოს და მას დამოუკიდებელი ექსპერტებიც უნდა ესწრებოდნენ. ფინანსთა სამინისტრომ კი, თავის მხრივ, უნდა დაასაბუთოს ის პრობლემები/რისკები, რის წინაშეც დადგება მათი სტრუქტურა საბანკო გარანტიების გაუქმების შედეგად. საბოლოოდ გონივრული გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული — თუნდაც გაიზარდოს სანქციების მოცულობა საბაჟო სამართალდარღვევებზე საბანკო გარანტიების გაუქმების ხარჯზე, რათა მოხდეს სამართალდარღვევათა პრევენცია და ამითაც გაივლოს ზღვარი კეთილსინდისიერ გადამხდელებსა და არაკეთილსინდისიერ გადამხდელებს შორის“,** — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას დავით ნარმანია.

**მაია არაბიძე,**
ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

# პირველი ქართულ-რუსული მედიაფორუმი სომხეთში

**სომხეთის ქალაქ წახკაძორში პირველი ქართულ-რუსული მედიაფორუმი გაიხსნა. „ჰუმანიტარული თანამშრომლობის ცენტრის“ დირექტორი, ინტერნეტპორტალ „როსია-გრუზია: ექსპერტნი დიალოგის“ რედაქტორი ნიკოლაი სილაევი აცხადებს, რომ ორდღიანი ფორუმის მიზანი ქართველ და რუს ჟურნალისტებს შორის თანამშრომლობის გაფართოების ხელის შეწყობაა.**

**მედიაფორუმში რუსეთის მხრიდან მონაწილეობას მიიღებენ გაზეთ „ვრემია ნოვისტეის“, გაზეთ „ნეზავისიმაია გაზეტას“, გაზეთ „როსიისკაია გაზეტას„ წარმომადგენლები. საქართველოს მხრიდან კი გაზეთების „რეზონანსის“, „ახალი თაობის“, „გრუზია ი მირ“-ის წარმომადგენლები. ფორუმში ასევე მონაწილეობენ ჟურნალების „ექსპერტი“ (საქართველო) და „რუსსკიი რეპორტიორის“ (რუსეთი) წარმომადგენლები.**

ჯი-ეიჩ-ენი

საბანკო სექტორი

# ბევრს გვართმევენ, ცოტას კი გვიწყალობებენ

## ისედაც ბუნდოვანი მომავალი - უფრო მეტი გაურკვევლობის ბურუსში

**საბანკო სესხების მაღალი განაკვეთები, მათი დაბრუნების ვადები და შესაძლებლობები, მდგომარეობა შიდა თუ საგარეო ბაზრებზე, ასევე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, გადასახადები — აი, იმ ფაქტორთა არასრული ჩამონათვალი, რომელთა გათვალისწინება უხდება ნებისმიერი — მცირე თუ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს. ამასთან, ბანკების მხარდაჭერა ნებისმიერი სახეობის ბიზნესისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია, რომელიც განსაკუთრებულად არის გამძაფრებული საქართველოში, სადაც მეწარმეებს სახელმწიფოსგან მხარდაჭერის იმედი, უიშვიათეს გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად, არა აქვთ.**

მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ფონზე ჩვენს ეროვნული ეკონომიკის მხოლოდ რამდენიმე სეგმენტია მეტ-ნაკლებად წარმატებული, მათ შორის – საბანკო სფერო.

იმის მიუხედავად, რომ 2010 წლის დასრულებამდე კიდევ გარკვეული დროა დარჩენილი, უკვე შეიძლება იმის დანამდვილებით თქმა, რომ ქვეყნის კომერციულ ბანკთა უმეტესმა ნაწილმა, ზედიზედ მეორე წელია, სამი კვარტალი მოგებით დაასრულა. 19 კომპანიის ერთობლივმა მოგებამ 95 მილიონ ლარს გადააჭარბა, 24 მილიონით შემცირდა ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა და, როგორც აცხადებენ, 2008 წლის ომამდელ მაჩვენებლებს დაუბრუნდნენ.

წელან აღვნიშნეთ, რომ საქართველოში ბანკები მეწარმეთა „დაუძინებელი მეგობრები“ არიან, რასაც კრედიტების მაღალი საპროცენტო განაკვეთის დადგენა და მთელი რიგი ბიზნესის, ასევე გრძელვადიანი პროექტის დაფინანსებაზე მათი უარი მოწმობს. თუმცა ორივე ეს პროცესი 2008 წლის ცნობილ მოვლენებამდე გაცილებით ადრე, ფაქტობრივად, საქართველოში კომერციული საბანკო სექტორის ჩამოყალიბებისთანავე დაიწყო.

ყოველივე ამას დაემატა ისიც, რომ ბრიუსელის დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კონფერენციის გადაწყვეტილებით, საქართველოს საბანკო სექტორს 850 მილიონი დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზები გამოუყვეს, მათ მთელი რიგი შეღავათი მთავრობამაც დაუწესა, ინდივიდუალური მეწარმეები და მცირე თუ საშუალო კომპანიები კი, თავის დროზე ზარ-ზეიმით გაკეთებული განცხადებებისა და გაცემული დაპირებების მიუხედავად, „გვერდზე დატოვა“. შედარებისთვის ვიტყვით, რომ **ამერიკის შეერთებულ შტატებში ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ტვირთი არა მოსახლეობას, არამედ კომერციულ ბანკებს დააწვა: სახელმწიფომ 300 მილიარდი დოლარის საგანგებო ფონდიც კი შექმნა, რათა ხალხს იპოთეკური სესხით დატვირთული საცხოვრისები არ დაეკარგა და უსახლკაროდ არ დარჩენილიყო, რაც ბანკებისგან მოსახლეობის ვალების გამოსყიდვის, მათი გასტუმრების გადავადების გზით განხორციელდა.**

სიტყვამ მოიტანა და აქვე იმასაც გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ რამდენიმე წლის წინათ, როცა თბილისში საბინაო მშენებლობის ტალღა აზვირთდა, საცხოვრისების ფასი გაიზარდა და კომბანკები იპოთეკურ სესხებს უფრო ადვილად, შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთით გასცემდნენ. მერე ვითარება შეიცვალა, ბინათმშენებლობის ტემპმა ნელ-ნელა იკლო, ბანკებმა იპოთეკური სესხების გაცემას „მოუჭირეს“ და ბინების ფასებიც შემცირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბინებზე ფასების კლებაზე, გარდა აღნიშნულისა, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება და მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესებიც მოქმედებს. იმის მიუხედავად, რომ ბროკერთა ნაწილი ახლო მომავალში დედაქალაქში უძრავ ქონებაზე ფასების ზრდას ელის, ზოგიერთის აზრით, ეს თუნდაც იმიტომ არ მოხდება, რომ ჩვენს თანამოქალაქეებს, ვისაც ამის მატერიალური შესაძლებლობა აქვს, საცხოვრისი დიდი ხნის შეძენილი აქვთ, ხოლო ვისაც ფული არა აქვს, ის ვერც დღევანდელ დაბალ ფასად შეძლებს ბინის ყიდვას.

თუმცა თემას რამდენადმე გადავუხვიეთ, რაც იმან გამოიწვია, რომ უამრავ ხალხს ბინები ბანკებში, იპოთეკური სესხებით აქვთ დატვირთული, რომლებსაც ვერ ფარავენ და რომელთა გაყიდვასაც ბანკები ნელ-ნელა დაიწყებენ ზარალის დასაფარავად. იმის იმედი კი, რომ საქართველოს კომერციული ბანკები იპოთეკური ვალების რესტრუქტურიზაციას მოახდენენ, თუნდაც იმ მიზეზით, რომ საცხოვრისების ფასი მაღალი იყოს, პრაქტიკულად არ არსებობს, ისევე, როგორც ეს არც სამეწარმეო საქმიანობისთვის გაცემულ სადღეისოდ დაუფარავ სესხებზე არ მოხდება.

საქმე ის არის, რომ **საქართველოში კომერციული ბანკები არათუ არანაირად არ ზრუნავენ მოსახლეობაზე, მათ, ზოგადად, არც ქვეყნის მომავალი ეკონომიკური წელგამართულობა ადარდებთ დიდად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც მეწარმეობის იმ სახეობების გადასარჩენად უნდა მოქმედებდნენ, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის.** ამის მაგივრად, საყოველთაოდაა გავრცელებული კრედიტორებისთვის ქონებისა და აქტივების ყოვლად მოურიდებელი ჩამორთმევისა და გაყიდვის პრაქტიკა, რაც ისევ ეროვნულ ეკონომიკას, ქვეყნის სიძლიერეს და მოსახლეობის სოციალურ ყოფას ბუმერანგად უბრუნდება. სამაგიეროდ ბანკირები „ქველმოქმედებენ“, რაც მათთვის უფრო „ფულის შეწერას“ ჰგავს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ძნელი დასაჯერებელია, ის ბანკები, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, აგერ უკვე ორი წელია წარმატებით გადიან მოგებაზე, ცალი ხელით იმ ბიზნესებს „ახრჩობენ“, რომლებიც მათ ასაზრდოებენ და მოგებას მხოლოდ გაკოტრებული ქონება-აქტივების გაყიდვით ნახულობენ, თან ხალხს უსახლკაროდ ტოვებენ, მეორე ხელით კი უბინაო ოჯახებს ეხმარებიან (!ძ, მთავრობის ათასგვარ, ძალიან მორიდებით რომ ვთქვათ, არაფრის მომტან პროექტს გულუხვად უფინანსებენ.

ნურც ის გამოგვრჩება მხედველობიდან, რომ საქართველოში კომერციული ბანკების უმრავლესობა თავს არიდებს როგორც სოფლის მეურნეობისთვის კრედიტების გაცემას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვან რისკებთანაა დაკავშირებული. ამის გარდა, არც ძველ ბიზნესებს უწყობს ხელს დიდად, ასევე, როგორც ეშმა საკმეველს, ისე გაურბის ახალი ბიზნესების დაფინანსებას. ამდენად, ქართველ წვრილ თუ საშუალო მეწარმეთა უმრავლესობას არც სახელმწიფოს, არც კომერციული ბანკების მხრიდან სათანადო მხარდაჭერა არა აქვს, რაც ეროვნულ ეკონომიკაში სადღეისოდ შექმნილი ვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვნად განმსაზღვრელი ფაქტორია — მაშინ, როცა იმ ქვეყნებში, ვისგან თითქოსდა მაგალითს ვიღებთ, მცირე ბიზნესის წილი მთლიან ბიზნესში ნახევარზე მეტს შეადგენს, ჩვენში ეს მაჩვენებელი 12-15 პროცენტის ფარგლებშია.

ფული, მოგეხსენებათ, ეკონომიკის სისხლია, ურომლისოდაც ვერც ერთი ცოცხალი ორგანიზმი ვერ იარსებებს, თუმცა ვეჭვობთ, რომ ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას ვინმემ „მდგრადი“, ანდა, სულაც, „ცოცხალი“ უწოდოს.

**თუ ამ მანკიერი ფინანსური პოლიტიკის გატარება კომერციულმა ბანკებმა არ შეწყვიტეს (აქვე ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ მათ შორის იშვიათი გამონაკლისებიც არიან), საქართველოში ეკონომიკის, მეწარმეობის განვითარების ისედაც ბუნდოვანი მომავალი კიდევ უფრო მეტი გაურკვევლობის ბურუსში გაეხვევა.**

ოთარ ტურაბელიძე



ქველმოქმედება

# მერე რა, რომ მოხუცი ვარ...

**„მერე რა, რომ მოხუცი ვარ,“ — ამ პროექტის ფარგლებში თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის ბინადართათვის ლამაზი საღამო გაიმართა, რომლის ორგანიზატორი იყო ქალთა საქველმოქმედო ასოციაცია „ერთობის“ ხელმძღვანელი ია ქვათაძე.**

საღამო გახსნა სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ლონისძიებების სამმართველოს უფროსმა დავით კობახიძემ.

პანსიონატს ეწვივნენ და ეს დღე გაალამაზეს საქართველოში მცხოვრებმა უკრაინელთა ასოციაციაში არსებულმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა და შ. შანიძის სახელობის ხელოვნების სკოლის მევიოლინეთა ანსამბლმა, რომლებმაც მასპინძლებს დიდი კონცერტი გაუმართეს.

სტუმართა შორის იყო კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის მეუღლე პოეტი მანანა დანგაძე, რომელმაც შეკრებილებს საკუთარი ლექსები წაუკითხა.

**— ბედნიერი ვარ, რომ ამ მშვენიერ გარემოში მოვხვდი,** — განაცხადა მანანა დანგაძემ, **— ეს საღამო სიკეთის ზეიმია. ვიგრძენი, როგორ გვიყვარს ერთმანეთი. ეს დღე მომავალში კიდევ უფრო მეტად აღგვავსებს სულიერი მუხტით და თაობათა შორის არსებულ ჯაჭვს განამტკიცებს.**

შესრულდა ქართული და უცხოური სიმღერები, კონცერტმა ხანდაზმულები გაართო და გაამხიარულა, ლექსებმა და სიმღერებმა მათში გამოიწვიეს ემოციების მომძლავრება. მოხუცებმა ტრადიციულად საკუთარი შემოქმედებაც წარმოადგინეს და იმ საღამოს სრულფასოვანი მონაწილენი გახდნენ. საქველმოქმედო ასოციაცია „ერთობამ“ პანსიონატის ბინადრებს ტკბილეული გადასცა.

მოხუცები კმაყოფილნი დარჩნენ, მათ ჩვენი ერის სულიერ წინამძღოლთან ამასწინანდელი შეხვედრაც გაიხსენეს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საკვირაო წირვა-ლოცვას სამების საპატრიარქოს ტაძარში თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის 25 ბენეფიციარი დაესწრო.

**— ქადაგების შემდეგ პატრიარქმა ხანდაზმულები დალოცა,** — გვითხრა თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის უფროსმა ნინო დვალიშვილმა, **— მათ კი სანთლები დაანთეს, ილოცეს. ბევრი მათგანი სამების ტაძარში პირველად იყო და პანსიონატში შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ, შევეცდებით, მათ ასეთი სიამოვნება სხვა დროსაც მოვგვაროთ.**

— იმედი გვაქვს, ჩვენი საზოგადოებრიობა ყურს დაუგდებს ერის სულიერი წინამძღოლის რჩევა-დარიგებებს და ღვთის გზით ივლის, — განაცხადეს ხანდაზმულებმა, — ეს გზა საქართველოს გაბრწყინებამდე მიგვიყვანს...



ქალთა საქველმოქმედო ასოციაცია „ერთობის“ დელეგაცია „საქართველოს კარიტასსაც“ ესტუმრა, რომელიც სამედიცინო და სოციალური პროგრამის მოღვაწეობის 15 წლისთავს აღნიშნავს. მსგავსი კონცერტი იქაც გაიმართა. ამჯერად საკუთარი ლექსები თერაპევტმა ნანა ცინცაძემ წაიკითხა.

ნატა ნიბლაძე.

მურად ალაშვილის ფოტო

კონტაქტები



# შეხვედრა იაპონიის საელჩოში

**1 დეკემბერს, თბილისში, იაპონიის ელჩმა მასაიოში კომოჰარამ საელჩოში მიიპატიჟა საქართველოს კულტურის სამინისტროს თანამშრომლები მინისტრ ნიკა რურუას მეთაურობით.** აქვე იყვნენ ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის რექტორი და პროფესორ-მასწავლებლები, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები. იაპონიის ელჩი მიესალმა სტუმრებს და ილაპარაკა იმაზე, თუ რა დახმარება გაუწია იაპონიამ საქართველოს მოსახლეობას.

ამის შემდეგ გამოვიდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუა. მან ილაპარაკა იაპონელების დიდ მიღწევებზე, იაპონელთა ნიჭსა და შრომისმოყვარეობაზე... კონსერვატორიის რექტორმა, პროფესორმა მანანა დოიჯაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა ელჩს კონსერვატორიისათვის ინსტრუმენტების ჩუქების გამო. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იაპონელთა დახმარება ჩვენი ქვეყნისადმი სხვადასხვა სფეროში 36 მილიონ ამერიკულ დოლარს აღწევს.

ელგუჯა ნადარეიშვილის ტექსტი და ფოტო

SIC!

# რატომ აღარ სჭირდება ხელისუფლებას მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი?!

## ათეული წლების მანძილზე რუდუნებით ნაამაგარი უაღრესად საჭირო სამეცნიერო ერთეული ერთი ხელის მოსმით არ უნდა განადგურდეს!

**1986 წელს ქართველი მეცნიერების მნიშვნელოვანი მიღწევების საფუძველზე საკავშირო და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაფუძნდა მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი.**

მოლეკულური ბიოლოგია და ბიოლოგიური ფიზიკა 21-ე საუკუნის პრიორიტეტული დარგებია.

საქართველოში მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოლოგიური ფიზიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიის მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოლოგიური ფიზიკის სკოლამ, რომელიც 2 წელიწადში ერთხელ ჩემი ხელმძღვანელობით ტარდებოდა ბაკურიანში. ამ სკოლაში გამოჩენილი მეცნიერები კითხულობდნენ ლექციებს ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში კვლევა წარმოებს მოლეკულურ დონეზე და იგი პრინციპულად განსხვავდება კლასიკური ბიოლოგიისაგან.

ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის შედეგად მიღებული შედეგების დიდი მნიშვნელობა აღიარებულია მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ცენტრების მიერ და გამოქვეყნებულია მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში.

შევჩერდები ზოგიერთ მნიშვნელოვან კვლევაზე:

თანამშრომელთა ძირითადი შრომები ეხება ბიომაკრომოლეკულების ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა (კუნთის შეკუმშვის პროცესისა) და ბიოლოგიური ფუნქციის შესწავლას.

პირველად ჩვენ დავადგინეთ, რომ გარდა ძირითადი შეკუმშვადი ცილებისა, ბიოლოგიური მოძრაობისათვის აუცილებელია მესამე ცილოვანი კომპონენტი, რაც იმ დროისთვის დიდი სიახლე იყო ბიოფიზიკის სფეროში.

თერმოფილუსებიდან მიღებული იყო თერმოსტაბილური დნმ პოლიმერაზას ზესუფთა პრეპარატი, რომლის შეზღუდული ჰიდროლიზის შედეგად გამოყოფილი იქნა პოლიმერაზას უნარის მქონე მოკლე ფრაგმენტი, რომელიც გამოყენებული იყო შიდსის თერაპიაში.

შეისწავლება აგრეთვე ეუკარიოტული უჯრედების გენომის სტრუქტურული და ფუნქციური ორგანიზაცია.

იმუნოგლობულინებსა და მიოზინებში შესწავლილი იქნა სახსრული ფრაგმენტების კონფორმაციული შესაძლებლობები და შემოთავაზებული იქნა ამ მაკრომოლეკულების ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებების ახალი მოდელი.

განხორციელებულია მნიშვნელოვანი კვლევები ბუნებრივი ამინომჟავების საფუძველზე ბიოანალოგიური, ბიოსამედიცინო დანიშნულების სისტემების შექმნის მიმართულებით, მაგ. შექმნილია ე. წ. „ხელოვნური კანი“.

ინსტიტუტის მომავალი სამოქმედო პროგრამა ითვალისწინებს ფართო კვლევების განხორციელებას მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის სფეროს უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით.



ამჟამად, მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში კვლევები შეჩერებულია, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის № 276 დადგენილების საფუძველზე, ინსტიტუტი ერთი ხელის მოსმით, წინასწარი გაფრთხილებისა და კოლექტივის აზრის გაუთვალისწინებლად ლიკვიდირებულია და იგი აღმოჩნდა ახლად შესაქმნელი სსიპ – სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრის შემადგენლობაში.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გაერთიანება ემსახურება არა სამეცნიერო სისტემის ეფექტურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფას, არამედ კონკრეტული პირების, მათ შორის ხელისუფლებასთან დაახლოებული ზოგიერთი მეცნიერის ვიწრო სუბიექტურ ინტერესებს, რაც შედეგად მოგვცემს წლების განმავლობაში უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში შენარჩუნებული შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებების განადგურებას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ განათლების და მეცნიერების სამინისტროს კონტროლქვეშ დარჩა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი მხოლოდ ეს ცენტრი და მხოლოდ შესაბამისი 4 ინსტიტუტი (მათ შორის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტიც) იქნა ლიკვიდირებული. ყველა სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება გადავიდა დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად უნივერსიტეტების შემადგენლობაში.

ჩვენი ინსტიტუტის სტრატეგია და მიმართულებები სრულიად განსხვავდება და არავითარი საერთო არ აქვს ცენტრში შემავალი სხვა ინსტიტუტების თემატიკასთან, რაც შეუძლებელს ხდის აღნიშნულ ცენტრში ჩვენს გაერთიანებას.

ინსტიტუტში დამონტაჟებულია უნიკალური ძვირადღირებული აპარატურა და დანადგარები, რომელთა დემონტაჟი და ადგილიდან დაძვრა, გადატანა (თანაც ფიზიოლოგიის ინსტიტუტის შენობის მე-9 სართულზეც) გამოიწვევს მათ განადგურებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის შემაშფოთებელი ფაქტი, რომ ზეპირი შემოთავაზებით ახდენენ თანამშრომლებზე ზეწოლას და მოითხოვენ ცენტრში გასაერთიანებლად კონკურსამდე განცხადების დაწერას მაშინ, როცა თანამშრომლებისათვის უცნობია აღნიშნული ცენტრის წესდება.

ცენტრი, როგორც წესი (მაგალითად, პუშჩინოს ბიოლოგიური გამოკვლევების ცენტრი შედგება 6 დამოუკიდებელი ინსტიტუტისაგან, რომელთა ხელმძღვანელები ქმნიან ცენტრის დირექტორთა საბჭოს; უნგრეთის სეგედის სამეცნიერო ცენტრშიც, ასევე, გაერთიანებულია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც), შედგება ინსტიტუტებისგან. ჩვენ შემთხვევაში კი მოხდა ინსტიტუტების ლიკვიდაცია და შემცირებული განყოფილებებიდან იქმნება ზემოაღნიშნული ცენტრი, რომელიც ფაქტობრივად ერთი ინსტიტუტია. არადა, განათლების და მეცნიერების მინისტრის განცხადებების შესაბამისად, ყველა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს უნდა შეენარჩუნებინა საკუთარი სტატუსი და ბიუჯეტი და უნივერსიტეტების შემადგენლობაში გადასულიყვნენ როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულები (შერწყმისა და ლიკვიდაციის გარეშე).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადაუდებელ აუცილებლობად მიმაჩნია, რომ მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი აღნიშნულ ცენტრში გაერთიანდეს დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის – ინსტიტუტის – სახით (შესაბამისი მართვის პირობებშიც, ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა ინსტიტუტების მსგავსად, შეუერთდეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

**მე, როგორც მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის პირველი დირექტორი (დამაარსებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი) მივმართავ ხელისუფლებას, შეაჩეროს ინსტიტუტის ლიკვიდაცია და მიიღოს ზომები საქართველოსათვის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის გადასარჩენად. არ შეიძლება ათეული წლების მანძილზე რუდუნებით და თავდაუღალავი შრომის შედეგად შექმნილი სამეცნიერო ერთეულის ერთი ხელის მოსმით განადგურება!**

მალხაზ ზაალიშვილი,
მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის პირველი დირექტორი (დამაარსებელი),
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

მოვლენის კვალდაკვალ

*ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა, ყოველგვარი სინანულისა და გულისტკივილის გარეშე, ამას წინათ პედაგოგებს განუცხადა (ბოდიშს ვიხდი, თუ ციტირება მთლად ზუსტი არ იქნეს), რომ ჩვენისთანა პატარა ერს არ სჭირდება ჰუმანიტარული მეცნიერებები, არც ერთი ეს დარგი კომერციულად მომგებიანი არაა; ჩვენ, უპირველესად, გვჭირდება უცხო ენის, კერძოდ, ინგლისურის ცოდნა და ისეთი სპეციალისტები, რომლებიც კარგად გაართმევენ თავს კომერციასა და ტურისტთა მომსახურებასო.*

*პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ გვჭირდება ფილოლოგები – დიასახლისობას ქალი ფილოლოგის დიპლომის უქონლადაც შეძლებსო. აქაოდა, ფილოლოგების წინააღმდეგ ბრძოლა მიკერძოებად არ ჩამომართვანო, ფილოლოგებს იურისტებიც (თავისი სპეციალობა) მიაყოლა – არც იურისტები გვჭირდებიანო.*

*რადგან „ბრძენი“ პრეზიდენტის დებულებათა უსაფუძვლობის კრიტიკულ განხილვას აზრი არა აქვს, მას ხომ ვერავითარი საბუთიანობით ვერ გადაარწმუნებ?*

*ამიტომ ვეცდები მხოლოდ ფაქტებით ვილაპარაკო.*

# საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სიძულვილი ამაზე შორს ვერ წავა!

## მართლა არ უნდა ჩვენისთანა პატარა ერს ჰუმანიტარული მეცნიერება?

### ჩვენ გვეპატიჟებიან ენათმეცნიერების ისტორიკოსთა მსოფლიო ასოციაციაში

1991 წლის ბოლოს შემატყობინეს, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ენათმეცნიერების ისტორიის მკვლევარი, ქალბატონი **ვივიენ ლო** – დაინტერესებულია თქვენი წიგნით „ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდანო“.

ჩემი წიგნის არსებობა ინგლისელ მეცნიერს ამოუკითხავს პროფ. ზურაბ სარჯველაძის წერილში, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „ვოპროსი იაზიკოზნანიაში“.

ვიდრე ჩემი წიგნის ინგლისში გაგზავნის საქმეს მოვაგვარებდით, **ვივიენ ლო თავად ჩამობრძანდა თბილისში** და სახლში მეწვია. ჩვენი ხანგრძლივი საუბარი ვივიენმა დაასრულა წინადადებით, **შეგვექმნა ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება,** თანაც შეგვპირდა, საწევროს გადაუხდელად გაგვაწევრიანებდა **ჰენრი სვეტის (სახელობის) ლინგვისტიკის ისტორიკოსთა მსოფლიო ასოციაციაში,** რომლის შტაბბინაც ლონდონშია და რომლის პრესმდივანიც თვითონ გახლავთ.

1992 წლის 21 თებერვალს ენათმეცნიერთა ერთმა ჯგუფმა დავაარსეთ „ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება გ. ახვლედიანის სახელობისა“, რის შესახებაც ინფორმაცია მივაწოდე საერთაშორისო ასოციაციის პრესმდივანს და პასუხმაც არ დააყოვნა – ჩვენი საზოგადოება დე ფაქტო მსოფლიო ასოციაციის წევრი გახდა; დე იურედ კი წევრობა კონფერენციის დასკვნით სხდომაზე ფორმდებაო.

ჰენრი სვიტის საზოგადოება ხელმძღვანელობს ლინგვისტიკის ისტორიკოსთა მსოფლიო შეხვედრებს (ე.წ. გენერალურ კონფერენციებსაც), რომელიც სხვადასხვა ადგილას ყოველ სამ წელიწადში ერთხელ იმართება.

1993 წელს ნიუ-იორკში ჩატარდა მე-6 კონფერენცია, რადგან კონფერენციაზე მიწვევას ერთი წლით ადრე აგზავნიან, ჩვენ კი ამ დროისათვის საერთაშორისო ასოციაციაში არავინ გვიცნობდა, არც მოწვევა მოგვსვლია და, ბუნებრივია, მასში მონაწილეობაც არ მიგვიღია.

რაც შეეხება მე-7 კონფერენციას, რომლის მოწვევის ადგილად ოქსფორდი ნიუ-იორკშივე შეერჩიათ, უნდა გამართულიყო 1996 წლის 12-18 სექტემბერს და, როგორც ეს ევროპელებს სჩვევიათ, ჩვენ ერთი წლით ადრე მოგვივიდა შეტყობინება.

1995 წლის 15 აგვისტოს გამოგზავნილ ფაქსში **ვივიენ ლო** მწერდა: „თქვენი საზოგადოების ყოველი წევრი, რომელიც ენათმეცნიერების ისტორიაში მუშაობს და სურვილს გამოთქვამს, დაესწროს ჩვენს ყოველწლიურ სესიას, მოწვეულია 13-16 სექტემბრისათვის კემბრიჯში“. იმავე წერილში გვატყობინებდა, რომ „მომავალი (ე.ი. 1996-ე წლის სექტემბრის 12-18 რიცხვებში დაგეგმილია მე-7 მსოფლიო კონფერენცია, რომელიც ჩატარდებოდა ოქსფორდში“.

## მოვლენის კვალდაკვალ

მე-7 საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ლონდონს გავემგზავრეთ: თქვენი მონამორჩილი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო ქემერტელიძე.

კონფერენცია გაიხსნა 12 სექტემბერს. მისასალმებელი სიტყვით მოგვმართა **საერთაშორისო საენათმეცნიერო წრეებში აღიარებულმა სწავლულმა, ენათმეცნიერების ისტორიის თანამედროვე სახელმძღვანელოების ცნობილმა ავტორმა, პროფესორმა რობერტ რობინსმა.**

ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად რ. რობინსმა თავისი სიტყვის დასაწყისშივე საგანგებოდ გამოგვყო და დარბაზს ამცნო, რომ „კონფერენციას ესწრებიან გ. ახვლედიანის სახ. ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების პრეზიდენტი, პროფ. ალექსანდრე ფოცხიშვილი და წევრი, დოქტორი ნინო ქემერტელიძე საქართველოდან (ზეპირად დაუმატა – კავკასიის საქართველოდანძ, ჩვენ მივესალმებით მათ ოქსფორდში ჩამობრძანებასო.“

ასეთი განცხადების შემდეგ საჭიროდ ვცანი დელეგატებისთვის ჩვენი თავი უფრო ახლო გაგვეცნო და ვივიენს ვთხოვე შუამდგომლობა, რათა ჩვენთვის რამდენიმე სიტყვის თქმის უფლება მოეცათ.

13 სექტემბერს, კონფერენციის ფაქტიურად პირველ დღეს, სხდომა 9 საათზე დაიწყო. ოფიციალური ცერემონიის დამთავრების შემდეგ, ვიდრე მოხსენებათა კითხვა დაიწყებოდა, სხდომის წამყვანმა დარბაზს ამცნო, რომ მე ვითხოვდი სიტყვას.

ახლა საგანგებოდ უნდა შევჩერდე მშობლიური ენის აბუჩადამგდები და ყველაფერი უცხოურის მონურად მოტრფიალე პრეზიდენტის იმ მოსაზრებაზე, ინგლისურის მშობლიური ენის დონემდე სწავლა აუცილებელიაო, რომ ამბობს.

რადგან გაუსაძლის ეკონომიკურ სიდუხჭირეში ვიზრდებოდი და რეპეტიტორის აყვანის არავითარი შესაძლებლობა არ მქონდა, გამართულად სალაპარაკოდ არც ერთი უცხო ენა არ ვიცოდი, რუსულის გარდა.

კონფერენციის ძირითადი სამუშაო ენა, ინგლისური გახლდათ, თუმცა რამდენიმე კაცმა გერმანიიდან და საფრანგეთიდან, მოხსენება გერმანულ და ფრანგულ ენებზე წაიკითხეს. ამის მნახავი რა ქართველი ვიქნებოდი, მათ ჩამოვრჩენოდი, მით უფრო, რომ ჩემთან ერთად კონფერენციაში მონაწილე ქალბატონი ნინო ქემერტელიძე – ინგლისური ენის სპეციალისტი, მშვენივრად ფლობდა სალაპარაკო ინგლისურს. ქართულად შესაძლო გამოსვლის შესახებ წინასწარ ვიყავით მოლაპარაკებული და სინქრონიული თარგმნისთვისაც მზად იყო.

კათედრასთან ორივე მივედით და... დავიწყე ქართულად: **„მასპინძლებთან ბოდიშს ვიხდი, რომ ინგლისურად არ მოგმართავთ და რადგან ინგლისურად - არა, გადავწყვიტე, გელაპარაკოთ ჩემს მშობლიურ ენაზე. ამას თავისი გამართლებაც აქვს და თქვენთვისაც უსარგებლო არ იქნება. ჩვენმა ქვეყანამ ცოტა ხნის წინათ მიიღო დამოუკიდებლობა და უფლება, საერთაშორისო ფორუმებზე ილაპარაკოს იმ ენაზე, რაზეც მის წარგზავნილს სურს. მეორეცაა – დარწმუნებული ვარ, ბევრ თქვენგანს ქართული ლაპარაკი არასდროს გაუგონია. ახლა კი შესაძლებლობა გექნებათ მოისმინოთ იგი“.**

ცოტა შევისვენე, რათა შემეტყო, რა შთაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე ჩემმა „ტკბილ ქართულმა“, როცა დავრწმუნდი, რომ გადაწყვეტილება სწორი იყო, დარბაზი სულგანაბული მისმენდა, ნინოს ნიშანი მივეცი დაეწყო თარგმნა. დაამთავრა თუ არა ქ-მა ნინომ ბოლო სიტყვა, დარბაზში მსხდომთა სახეებზე მოწონებისა და თანაგრძნობის გამომხატველი ნიშანი დავინახე.

ამის შემდეგ უფრო თამამად განვაგრძე: – **„როგორც მოგახსენეს, მე წარმოვადგენ გ. ახვლედიანის სახ. ენათმეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოებას. ჩემი მოხსენება, რომელიც 16 სექტემბერს C სექციაში უნდა წავიკითხო, ეძღვნება, „ანტონ პირველი ბაგრატიონის „ქართულ გრამატიკაში“ სახელთა ბრუნების საკითხებს“. ანტონ ბაგრატიონი არის მე-18 საუკუნის უდიდესი ქართველი მეცნიერი, სასულიერო და საერო მოღვაწე, ფუძემდებელი ახალი ქართული ენათმეცნიერული აზრისა. მისი შედგენილია ფუნდამენტური ქართული გრამატიკა. ა.წ. 12-18 ოქტომბერს საქართველოში ტარდება ანტონ პირველი ბაგრატიონის დაბადებიდან 275 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი. მე სახელმწიფო-საიუბილეო კომისიიდან უფლებამოსილი ვარ, დაგპატიჟოთ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად“...**

მოულოდნელმა სვლამ – ქართულმა მეტყველებამ გააოგნა დელეგატები და ისე ყურადღებით მისმენდნენ, გეგონებოდათ, კათედრასთან რომელიღაც დიდი იმპერიის წარმომადგენელი მათ ოქსფორდული ინგლისურით მიმართავდა.

ამის შემდეგ ჩვენ ყველა გვცნობდა, ღიმილით გვხვდებოდა და გულთბილად გვესალმებოდა. სურვილს გამოთქვამდნენ, ჩამოსულიყვნენ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ბოდიშს იხდიდნენ, იმის გამო, რომ მათთან სწავლა მეტწილად 1 ოქტომბრიდან იწყება და ლექციების გამო, ამჯერად, ალბათ, ვერ მოახერხებდნენ ჩვენთან სტუმრობას.

უნდა ვთქვა, რომ საერთაშორისო ასოციაციის წევრობა საზოგადოების დონეზე, დიდ პრივილეგიებს გვაძლევდა – შევდიოდით საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში. ჩემს სახელზე მოდიოდა კონფერენციაზე წასაკითხავი მოხსენებების თეზისები. მე უნდა დამეწერა რეცენზია იმის თაობაზე, შეეფერება თუ არა მოხსენება კონფერენციის თემას.

როგორც ზემოთაც ვთქვი, ჩვენით განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებული და ჩემს მოხსენებაზე, რომელსაც ყოველთვის ქართულად ვკითხულობდი, დარბაზი გადაჭედილი იყო, ესწრებოდნენ თითქმის ყველა სექციიდან.

ნათქვამიდან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: არავის არ აინტერესებს, შენ იცი თუ არა უცხოური ენა, მთავარია, როგორმე გააგებინო, რას წერ და რამდენად საინტერესოა შენი გამოკვლევა მეცნიერული თვალსაზრისით. და, რაც მთავარია, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას დიახაც აინტერესებს ჩვენისთანა პატარა ქვეყნის მეცნიერთა ნამოღვაწარი და ეს ინტერესი რომ ძალიან დიდია, ისევ ჩვენი ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების მაგალითით მტკიცდება.

ოქსფორდის კონფერენციაში მონაწილეობა ჩემი და ქალბატონი ნინო ქემერტელიძესი მოხერხდა იმ თანხიდან აღებული ფულით, რომელიც მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ უყოყმანოდ გამოგვიყო ანტონ პირველი ბაგრატიონის დაბადებიდან 275 წლისთავის აღსანიშნავი იუბილესთვის, მაგრამ ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, გასაგებია შევძლებდით თუ არა მონაწილეობის მიღებას შემდგომ კონფერენციაში: 1999 წელს – პარიზში და 2002 წელს – სან-პაულოში.

და რამდენადაც გასაკვირი უნდა მოეჩვენოს მკითხველს, ჩვენით დაინტერესება იმდენად დიდი იყო, რომ პარიზში ექვსი კაცის, ხოლო სან-პაულოში 2-ის გზის ხარჯები მასპინძლებმა – ფრანგებმა და ბრაზილიელებმა – გაიღეს.

დღეს მე ასაკის გამო საზოგადოების პრეზიდენტის თანამდებობიდან გადავდექი (დავრჩი საპატიო პრეზიდენტადძ ადგილი დავუთმე პროფესორ თინათინ ბოლქვაძეს. ისმის კითხვა: რა ქნას ახალმა პრეზიდენტმა, აღარ მიიღოს მონაწილეობა ენათმეცნიერთა ასოციაციის მსოფლიო კონფერენციებში? ხოლო, თუ უნდა მიიღოს, კონფერენციაზე ხომ მოხსენებით ვინმე ენათმეცნიერი უნდა გამოვიდეს? და რანაირად გავზარდოთ ენათმეცნიერი, თუ უმაღლეს სასწავლებელში ფილოლოგიის ფაკულტეტზე მიღება არ იქნება? თანაც ისიც აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს, რომ მეცნიერის გასაზრდელად არ კმარა მიღება მიღებისათვის. საჭიროა დიდი რაოდენობით სტუდენტის აღზრდა, რადგან, როგორც ცნობილია, უმაღლესდამთავრებული კონტიგენტიდან მეცნიერებას ყველაზე დიდი შეიძლება მხოლოდ 4-5 პროცენტილა გაჰყვეს. აქედან ნამდვილი და სახელოვანი მეცნიერი მხოლოდ ნახევარი თუ გამოვა, ანუ 100 კურსდამთავრებულიდან მეცნიერი შეიძლება დადგეს ერთი ან – ორი.

რაც მოგახსენეთ, ამის შემდეგ **თქვენ განსაჯეთ, ძვირფასო მკითხველო, ჩვენი პრეზიდენტის ინტელექტუალური შესაძლებლობა: – ფილოლოგობა დიასახლისს არ სჭირდებაო! და საკუთარი ქვეყნის სიყვარული – ჩვენისთანა პატარა ქვეყანას მეცნიერებაც არ სჭირდებაო!!**

**ყოჩაღ, პრეზიდენტო! – საკუთარ ქვეყანაზე, ქართულ მეცნიერებაზე ზრუნვა სწორედ ასეთი უნდა!**

**რაც შეეხება ჩემს ამჟამინდელ ყოფას – ყელამდე ვარ თქვენი პატივისცემით:**

**ვარ (ჩემთვის – „სამამულო“, თქვენთვის – „მეორე მსოფლიო“) ომის მონაწილე. ვინ იცის, ჩემისთანები რამდენი დავრჩით საქართველოში? იქნებ, ათასზე მეტიც არა!**

**ჩვენისთანებს მთელს მსოფლიოში, როგორც იტყვიან, ხელის გულზე ატარებენ. მე კი ომის ვეტერანის სტატუსის გარდა, 65 წლის მუშაობის სტაჟის მქონეს და რამდენიმე ათეული ათასი სტუდენტის აღმზრდელს, სახელმწიფო თვეში 100 ლარ პენსიას მაძლევს. და ეს ხდება მაშინ, როცა კომუნისტური წყობილების დროს პენსია სტაჟის მიხედვით ინიშნებოდა და ზოგჯერ ხელფასის 80 პროცენტს აღწევდა.**

**სხვათა შორის ერთი ჩემი ახლობელი, რომელიც რაიონის პროკურორის მოადგილე იყო და პენსიაზე 80-იან წლებში გავიდა, დღეს ხელზე 580 ლარს ღებულობს, მე კი – მის მეექვსედს!**

**გმადლობთ, ძვირფასო პრეზიდენტო!**

ალექსანდრე ფოცხიშვილი

პროფესორი.

## კვლევა

**ქართველ-იტალიელი მეცნიერი – ასე უწოდა ვენეციის უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორ გაგა შურღაიას მისმა მასწავლებელმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ. იგი სიამაყით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე კარგად ცნობილი მეცნიერი სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღიზარდა, ამ კედლებში**

# ქართველოლოგია საქართველოს ფარგლებს გარეთ

## ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის ახლებური ინტერპრეტაცია

**დაფრთიანდა, სწორედ აქ „მოიწამლა“ ქართველოლოგიის მეცნიერებით ახლა უკვე საქვეყნოდ გამოჩენილი პიროვნება.**

ამის შესახებ ბატონმა ელგუჯამ საზოგადოებას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში მოუთხრო, სადაც 29 ნოემბერს **გაგა შურღაიას** სამეცნიერო სემინარი გაიმართა თემაზე: **„ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის ახლებური ინტერპრეტაცია ზოგიერთი უცხოური წყაროს შუქზე“.** სემინარი ერთობლივად ჩაატარა სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილებასთან არსებული ქართული ლიტერატურის კომისიამ.

გაგა შურღაიას შრომითი საქმიანობა, ე. წ. „CV“ იმდენად სქელტანიანია, რომ ჩვენი გაზეთი მას ვერ დაიტევს. ამიტომაც მისი რეგალიები მოკლედ ასე გამოიყურება: ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა' ფოსკარის“ ევრაზიული კულტურების კათედრის პროფესორი, ვენეციის წმინდა ბერნარდის სახელობის ეკუმენიკური და რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტების მოწვეული პროფესორი, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკის მეცნიერი კონსულტანტი... გაგა პარალელურად ლექციებს კითხულობს თავის მშობლიურ უნივერსიტეტში.

პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ გაგა შურღაიას მოღვაწეობის შესახებ საუბრისას გაგას იტალიელ ლექტორთან შეხვედრა გაიხსენა. **„მან მითხრა: როცა გაგას ვუყურებ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები იმ ნიჭიერებაში, რაც ზოგადად ქართულ ინტელექტს ახასიათებსო“.**

გაგა შურღაიას მართლაც ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის უცხოეთში გატანაში. უნდა აღინიშნოს, რომ მან თარგმნა და იტალიაში გამოსცა „აბოს წამება“, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ელენე მეტრეველის შრომების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია გამოუშვა იტალიურად, ნაშრომები აქვს წმინდა ნინოზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე და საქართველოს ისტორიის სხვა სახელოვან ადამიანებზე.

ამჯერად სამეცნიერო სემინარზე მან წარმოადგინა ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმების სრულიად ახლებური ინტერპრეტაცია.

გაგას თეზისებში ნათქვამია: **„იმის მიუხედავად, რომ ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმების საკითხები არაერთხელ განხილულა ქართულ და უცხოურ ქართველოლოგიაში, დღემდე არ ყოფილა დადგენილი არც ამ რეფორმის გამომწვევი მიზეზები და არც მისი კონკრეტული შედეგები საქართველოს ეკლესიის ისტორიისთვის, ანუ როგორ განსაზღვრა მან ქართლის ეკლესიის ადგილი უნივერსალური ეკლესიის ზოგად სტრუქტურაში“.**



სწორედ ამ ვრცელი გამოკვლევის მოკლე ანალიზი შესთავაზა მეცნიერმა მსმენელებს და ახლებურად წარმოუჩინა პრობლემის გადაჭრის ძირითადი გზები და მიმართულებანი. დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ **„ბიზანტიური და აღმოსავლეთ სირიული წყაროებისა და ბიზანტიის იმპერიისა და ირანში V ს-ის კულტურული და პოლიტიკური ვითარების გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ მეფე ვახტანგ გორგასლისა და მიქაელ ეპისკოპოსს შორის დაპირისპირების საფუძველი იყო სააღმსარებლო: მონოფიზიზმსა და ქალკედონიანობას შორის. მეფე და მისი მომხრენი იცავდნენ მონოფიზისტურ ქრისტოლოგიურ დოქტრინას, მიქაელ ეპისკოპოსისა კი – ქალკედონიანურ ქრისტოლოგიურ ფორმულას. ვახტანგ გორგასალმა საეკლესიო რეფორმა 475 წლის იანვარსა და 476 წლის აგვისტოს შორის პერიოდში განახორციელა და, მთავარი, მეფემ შემოიღო კათალიკოსობის ცნება, რაც ერთმნიშვნელოვნად ნიშნავდა ავტოკეფალური ეკლესიის დაარსებას. ვახტანგ გორგასალმა ეკლესიის საჭეთმპყრობლის აღსანიშნავად პირველმა გამოიყენა ტერმინი, რომელიც 410 წლიდან იხმარებოდა სპარსეთის ეკლესიაში და ამ ფაქტიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ზუსტი პოლიტიკური და საეკლესიო მნიშვნელობის მქონე ტერმინად იქცა: იგი აღნიშნავდა იმ სახელმწიფოს დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაურს, რომელიც ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ საზღვრებში არ შედიოდა“.**

გაგა შურღაიას ეს ვრცელი გამოკვლევა ახლო მომავალში იტალიაში დაისტამბება.

**ფუნდამენტური კვლევა ასევე დადებითად შეაფასეს მსმენელებმა, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსებმა, პროფესორებმა... ყველა დაეთანხმა იმ აზრს, რომ დღეს საქართველოს, ქართველოლოგიას გაგა შურღაიას დონის მეცნიერი ჰაერივით სჭირდება.**

თეა მოსია

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილის ორი სახე

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთს შერიგების ხელი გაუწოდა. მან ეს გააკეთა ამ დღეებში ევროპარლამენტის სხდომის დროს. კეთილი ნების ჟესტად სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა „არასოდეს გამოიყენებს ძალას", რათა დაიბრუნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფილი რესპუბლიკები.**

„წარმოიდგინეთ, რომ უახლოესი 50 წელი ჩვენ ვიქნებით მტრები, ჩვენ ეს ძალიან არ გვინდა", – განაცხადა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, რითაც გამოხატა მზადყოფნა მოსკოვთან მოლაპარაკებისა „ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე, ნებისმიერ დონეზე და ნებისმიერ ადგილას".

სააკაშვილის მოულოდნელმა მშვიდობისმყოფელურობამ აიძულა ანალიტიკოსები, გაერკვიათ მისი არსი, გამოეცნოთ, თუ რა დგას ამ ახალი რიტორიკის უკან. ვინაიდან, შეგახსენებთ, მოსკოვის კრემლიდან არაერთხელ გაკეთებულა განცხადება, რომ საქართველოს ამჟამინდელ პრეზიდენტთან არ სურთ არანაირი მოლაპარაკება.

უეჭველია, დაახლოება რუსეთსა და ნატოს შორის (თუნდაც დეკლარაციულად, რაც ამ ცოტა ხნის წინათ გამოცხადდა ლისაბონში), თვალი აუხილა ქართველს და გარკვეულწილად დაამსხვრია ყველა მისი იმედი – ზემოქმედება მოახდინოს რუსეთზე ალიანსის დახმარებით. თუმცა, ლისაბონში ყველა ირწმუნებოდა, რომ ნატოს კარი რჩება ღიად. მეორე მხრივ, მან ვერ შეძლო, დაერწმუნებინა დასავლეთის ქვეყნები, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ომში ის საკმაოდ გონივრულად მოიქცა და რომ იგი ამგვარ შეცდომას მომავალში აღარ დაუშვებს.

სააკაშვილს მოუწია „მიეწოდებინა ბურთი" თავის მოედანზეც. საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მისი თანამემამულეების 78 პროცენტი მხარს უჭერს რუსეთთან ურთიერთობის განახლებას. „ცხადია, რომ სახელმწიფოს ამჟამინდელი მეთაურის მცდელობანი – გააუმჯობესოს ურთიერთობა მოსკოვთან – მიზნად ისახავს, უწინარეს ყოვლისა, სიმპათიის მოპოვებას", – მიაჩნია მოსკოვის გაზეთ „კომერსანტს". მაგრამ, ამ გზით, ალბათ, მას მხარს დაუჭერდა ზოგიერთი სპონსორი დასავლეთში, რომლებმაც გამოაცხადეს, რომ არაფერი ექნებათ იმის საწინააღმდეგო, თუ სააკაშვილი კვლავ იყრის მესამედაც საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე. ეს არ არის დიდად დემოკრატიული, მაგრამ კავკასია მაინც არ არის ის ადგილი, სადაც ყვავის დემოკრატია, ასე აფასებენ აღნიშნულ ექსპერტები.



მაგრამ, ცალკე ისტორიაა თავად მიხეილ სააკაშვილი, პოლიტიკოსი, რომელმაც უგუნურად გაფანტა ნდობის მთელი კრედიტი, რაც მას ქართველმა ხალხმა არჩევნების დროს მიანიჭა. „ეს არის კაცი, ვისაც აღარავინ ენდობა, რომელსაც არ შეუძლია აღადგინოს ურთიერთობანი რუსეთთან, ვინაიდან სწორედ მან თავისი უგუნური პოლიტიკით დააყენა ეს საკითხი ჩიხის ნიშნის ქვეშ", – ამბობს რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი და ოპოზიციის ამჟამინდელი ლიდერი ეროსი კიწმარიშვილი.

და საერთოდ, სააკაშვილის განცხადებასთან ერთად რუსეთთან სამშვიდობო ურთიერთობის აღდგენის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა ინფორმაციაც იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობა სერიოზულად ამუშავებს ზამთრის ოლიმპიური თამაშების საბოტაჟის გეგმას, ოლიმპიადისა, რომელიც უნდა გაიმართოს 2014 წელს საქართველოსთან მეტად ახლოს, რუსეთის კურორტ სოჭში. ამ „თამაშში" ჩართულია, ეგრეთ წოდებული, აფხაზეთის მთავრობა დევნილობაში და ჩეჩნეთის დიასპორის ნაწილი.

ის, თუ რა ჰქონდა მხედველობაში სააკაშვილს, როდესაც მოუწოდებდა მოსკოვთან ურთიერთობის აღდგენისკენ, ამის შემდეგ მეტად საეჭვო ხდება.

ПОЛИТИКА online

# ეუთოს სამიტი ასტანაში: მხოლოდ ყაზახეთმა მოიგო?

**ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მიმდინარეობს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტი. ფორუმზე, სხვა პრობლემათა შორის, განიხილებოდა საქართველოს მდგომარეობა 2008 წელს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის შემდეგ. დაუსრულებელ პოლემიკაში სამიტზე გამოვიდნენ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტები დიმიტრი მედვედევი და მიხეილ სააკაშვილი.**

**გვესაუბრება გაზეთ „ვრემია ნოვოსტეის" საერთაშორისო მიმომხილველი არკადი დუბნოვი, რომელიც ასტანაში იმყოფება:**

– ეგრეთ წოდებული „საქართველოს საკითხი" სერიოზული დაპირისპირების საგანი აღმოჩნდა, ერთი მხრივ, რუსეთსა და, მეორე მხრივ, დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობას შორის. საკითხი შეეხება იმას, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სიტუაციისადმი დამოკიდებულება, უწინარეს ყოვლისა, უკმაყოფილებას იწვევს თავად საქართველოსი, რომლის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ოკუპირებულია რუსეთის ჯარების მიერ. იგი ბრალს სდებდა მოსკოვს: მოსკოვი არ ასრულებს შეთანხმებებს ჯარების გამოყვანის შესახებ, უარს ამბობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაზე და ა.შ. თბილისი აცხადებს, რომ თუ სამიტის შემაჯამებელი დეკლარაცია ამ საკითხზე არ ჩამოყალიბდება ისე, როგორც ეს თბილისში უნდათ, მაშინ საქართველოს დელეგაციას შეუძლია დაბლოკოს შემაჯამებელი დეკლარაციის კონსენსური მიღება. ეს მეტად სერიოზული ვითარებაა.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავისი ტემპერამენტიანი სიტყვა წარმოთქვა მაშინ, როდესაც პრეზიდენტი მედვედევი უკვე ასტანის აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე იმყოფებოდა, რათა გაფრენილიყო ყაზახეთიდან. მაგრამ თავის გამოსვლაში დღეს პრეზიდენტმა მედვედევმა საკმაოდ მკაცრად განაცხადა, რომ მიუღებელია ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტის ისეთი მეთოდი, რომელიც გამოიყენა საქართველომ 2008 წელს... ერთი სიტყვით, თავიდანვე ცხადი იყო, რომ ეს პრობლემა გამოიწვევდა სერიოზულ დაძაბულობას ეუთოს შიგნით და მშვიდობიანად ამჟამინდელი სამიტი არ დამთავრდება.

– თავის გამოსვლაში დიმიტრი მედვედევმა ასევე განაცხადა, რომ ეუთოს ესაჭიროება მოდერნიზაცია...

– მედვედევმა კვლავ გაიმეორა, რომ უკვე ორ წელზე მეტია მიმდინარეობს დისკუსია მის მიერ შეთავაზებული პროექტის გამო ევროპის უშიშროების ახალ ხელშეკრულებაზე. მისი სიტყვებით, რაც უფრო შორს მიდის დისკუსია, მით უფრო ცხადი ხდება, რომ ასეთი დოკუმენტის მიღება უკვე დიდი ხანია მომწიფდა.

– თუ არის რაიმე რეაქცია მედვედევის განცხადებაზე?

– მისი სიტყვები უშიშროების შესახებ ახალი დოკუმენტის მიღების აუცილებლობაზე მიიღეს ისევე, როგორც მთლიანად მორიგი გამოსვლა – ამ თეზისს უკვე შეეჩვივნენ ევროპასა და შეერთებულ შტატებში. ხოლო ის კი, რაც შეეხება პრეზიდენტ მედვედევის განცხადებას საქართველოსთან დაკავშირებით... რასაკვირველია, შემდგომ გამოსვლებში – ფაქტობრივად, დასავლეთის ყველა ძირითადი სახელმწიფოების წარმომადგენლებისა, მათ შორის, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონისა, დიდი ბრიტანეთის ვიცე-პრემიერ ნიკ კლეგისა, ევროკავშირის პრეზიდენტის ჰერმან ვან რომპეასი – მკაფიოდ და არაორაზროვნად იქნა გამოხატული საქართველოს მხარდაჭერა, რომელიც მოითხოვს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას და რუსეთის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებას საქართველოს ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

* * *

ყაზახეთის ხელმძღვანელობას შეეძლო ეფექტიანად გამოეყენებინა თავისი ქვეყნის თავმჯდომარეობის ფაქტი ეუთოში ზოგიერთი საშინაო-პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტისა და საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლების საქმეში. მაგრამ არც ერთი საკვანძო ამოცანა რისი დაყენების შესახებაც აცხადებდა ყაზახეთი, როდესაც კისრულობდა ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობას, სხვათა შორის, არ შესრულებულა.

ამის შესახებ გვიამბობს ყაზახი პოლიტოლოგი და ჟურნალისტი, საერთაშორისო მიმომხილველი მერხატ შარიპჟანი.

– ყაზახეთის ხელმძღვანელობამ ეფექტურად და ეფექტიანად გამოიყენა ყველა კოზირი, რომელიც მას აქვს. პირველ რიგში ეს არის მინერალური რესურსები, მხედველობაში მაქვს ნავთობი და გაზი. ევროპაში ეუთოს წევრი სახელმწიფოები დაინტერესებული არიან გაზით. ამან შეასრულა ძირითადი როლი ყაზახეთის არჩევის საქმეში ეუთოს თავმჯდომარის როლში. ის, რომ ყაზახეთს, როდესაც ეუთოს თავმჯდომარე იქნებოდა, შეეძლებოდა მოეწყო სამიტი, რაც ამჟამად მიმდინარეობს კიდეც, ამასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ ეს არის პირველი სამიტი უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში, რომელიც ეუთოს თავმჯდომარემ მოაწყო. პიარისა და საქმისადმი ერთგვარი საბჭოთა მიდგომის თვალსაზრისით – როდესაც რაპორტს აბარებდნენ იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა და როგორ გაკეთდა, – ეს არის ეფექტური და ეფექტიანი.

მაგრამ თუ შევხედავთ იმას, რა გაკეთდა ამ დროის განმავლობაში... მაგალითად, მთიანი ყარაბაღის თემა. როდესაც ყაზახეთი ეუთოს თავმჯდომარე ხდებოდა, ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კანატ საუდაბაევი აცხადებდა, რომ უნდა გაკეთდეს ყველა შესაძლებელი, რათა მოწესრიგდეს ეს პროცესი ან თუნდაც დაიძრას მკვდარი წერტილიდან ეს პროცესი. სინამდვილეში სწორედ ეუთოში ყაზახეთის თავმჯდომარეობის დროს სიტუაცია ყარაბაღში გართულდა, მოხდა სამხედრო შეტაკებებიც კი.

ანდა სიტუაცია ყირგიზეთში... როდესაც იყო ეგრეთ წოდებული რევოლუცია, ყაზახეთს თავი ეჭირა მეტად პასიურად, მომლოდინის პოზიციაში – და, ვფიქრობ, ყველაფერი გააკეთა, რათა მოეხდინა ყირგიზეთის იზოლაცია ეკონომიკური და მორალური დახმარებისგან, რაც ყირგიზეთს ძალიან სჭირდებოდა.

– ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის შინაპოლიტიკური მოწინააღმდეგეები ეუთოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინაპერიოდში იმის შესახებ, რომ ყაზახეთი ჩაუდგება სათავეში ამ საპატივცემულო საერთაშორისო ორგანიზაციას, ყურადღებას არ აქცევდნენ იმ ნაკლოვანებებსა და ყაზახეთის პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებებს, რის შესახებაც თქვენ ამჟამად ახსენეთ. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო გაერთიანება ლებულობს გადაწყვეტილებას – ჩართოს თავის მუშაობაში ის სახელმწიფოები, სადაც დემოკრატიის სტანდარტები, დასავლეთის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ვერ აღწევენ სათანადო დონეს. ეს ჩართვა იძლევა შესაძლებლობას, ვიმუშაოთ ასეთ ქვეყნებთან, რომ მათ თანდათან შეძლონ იმ პრობლემის გადაწყვეტა, რაც დაკავშირებულია დემოკრატიული ზრდის სირთულეებთან. ასეთი პროცესი გასული თვეების განმავლობაში არ შეინიშნებოდა, როდესაც ყაზახეთი სათავეში ედგა ეუთოს?

– რასაკვირველია, ეს შესამჩნევი იყო. ჯერ ერთი, ბევრი მომენტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სიტუაციებთან დაკავშირებითაც უფრო შერბილებული იყო, ზემოქმედება აღარ ყოფილა ისეთივე ძლიერი, როგორიც ადრე იყო – ისეთი, როგორც თურქმენეთში ან უზბეკეთში. იმ ხალხის ნათესავებს, ადვოკატებს, ვინც განიცდის რაიმე დევნას, სიტყვას აძლევენ. რაღაც ცვლილებები, რასაკვირველია, არის, მაგრამ ეს ყველაფერი კოსმეტიკური ხასიათისაა. მთლიანად კი გამოდის ისე, როგორც ადრე იყო.

– ნურსულთან ნაზარბაევის, იმ ჯგუფის პოზიცია, რომელიც ხელისუფლების სათავეშია, გასული დროის განმავლობაში განმტკიცდა თუ დასუსტდა – იმის გამო, რომ ყაზახეთი იყო ეუთოს სათავეში?

– ვფიქრობ, განმტკიცდა. და განმტკიცდა ძალიან, ვინაიდან ყაზახეთის თავმჯდომარეობა ეუთოში საშინაო-პოლიტიკური მოხმარებისთვის გახდა მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ნაზარბაევისა და მისი გარემოცვის უძლიერესი, ეფექტიანი მეთოდი ხელისუფლების ლეგიტიმიზაციისა არის იმისთვის, რომ აჩვენონ ოზივატელს: „ჩვენს პოლიტიკას, როგორც საშინაოს, ისე საგარეოს, მხარს უჭერს დასავლეთი". ეუთო კი – ეს, უწინარეს ყოვლისა, ევროპაა, ეს დასავლეთია. ასე რომ, მდგომარეობა ძლიერ განმტკიცდა როგორც ისტებლიშმენტს, ისე ოზივატელებს შორის.

Radio Free Europe
Radio Liberty

## დედამიწის ზურგზე



**„ნასას" ასტრობიოლოგებმა მარილიანი ტბის ფსკერზე აღმოაჩინეს უცხოპლანეტური ცხოვრების არსებობის დადასტურება**

კალიფორნიის მონოს ტბაში აღმოაჩინეს ბაქტერია, რომელსაც შეუძლია იცოცხლოს ბირთვული შხამის გარემოში. არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი მიკროორგანიზმები არსებობენ სიცოცხლისთვის მტრულ გარემოში სხვა პლანეტათა შორის. ეს კი ნიშნავს, რომ ბევრ მათგანზე სიცოცხლე შეიძლება.

* * *

**ევროპა პარალიზებულია თოვლით: დაიხურა აეროპორტები და გზები**



ყველაზე მეტად იტანჯებიან გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩეხეთი. დიდი თოვლის გამო აღინიშნა შეფერხებები ელექტრომომარაგებაში, წარმოიქმნა სატრანსპორტო პრობლემები. სტიქიის მსხვერპლი უკვე გახდა დაახლოებით 20 კაცი. ზოგიერთ ქვეყანაში დაიხურა აეროპორტები, გაიყინა ტრასები და სარკინიგზო გზები, გზებზე წარმოიქმნა გიგანტური საცობები.

* * *

**მექსიკაში კონფისკებულია თითქმის 11 მილიარდი დოლარის ღირებულების ნარკოტიკები**



სხვადასხვა ორგანიზაციის შეფასებით, მექსიკის ტერიტორიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებისკენ ყოველწლიურად გადის 300-400 ტონა კოკაინი, რომელიც შემოდის სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან. ამ დროს მექსიკის ტერიტორიაზე აწარმოებენ დაახლოებით 7 ათას ტონა მარიხუანას.

* * *

**WIKILEAKS-ის ხელმძღვანელი დიდ ბრიტანეთში ნახეს. აშშ-მ იგი გამოაცხადა ანარქისტად და მოითხოვს მის მკაცრ დასჯას**

სკოტლანდ იარმა იცის მისი ადგილსამყოფელი, მას აქვს მისი ტელეფონის ნომერიც კი, მაგრამ ასანჟის დაპატიმრებას არ ჩქარობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოაცხადეს, რომ ასანჟი არ არის ჟურნალისტი და იგი „არ იმსახურებს იმ დაცვას, რაც აქვთ ჟურნალისტებს".



# პირველ პირთა მცირე სისუსტენი

**იმის შესახებ, რომ ვ.პუტინს უყვარს, თუ შემთხვევა მიეცა, მართოს ყოველგვარი სატრანსპორტო საშუალება — კომბაინიდან დაწყებული რბოლის ბოლიდამდე — კარგად არის ცნობილი. რა იტაცებს დ.მედვედევს?**

**ამასთან ერთად ჩვენ გადავწყვიტეთ განგვეხილა, რა იტაცებს დასვენების პერიოდში ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერებს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პოლიტიკოსებისთვისაც არაფერი ადამიანური უცხო არ არის.**




АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## ◉ კითხვა-პასუხი

### ნუთუ შედევრები საშიშათოა?

**გავიგონე, რომ როდესაც ფერწერის შედევრებს უმზერ, შეიძლება ზიანი მიაყენო ფსიქიკას, დაავადდე სტენდალის სინდრომით. ეს როგორ?**



„სინდრომი მართლაც არსებობს, — დაადასტურა ფსიქოანალიტიკოსმა **ინესა ასტახოვამ**. — ცნობილია შემთხვევა, როდესაც მწერალმა სტენდალმა ლამის დაკარგა გრძნობები ფლორენციაში ეკლესიის დათვალიერების დროს, ამიტომ მიიღო სწორედ სინდრომმაც მისი სახელი. ეს ეგრეთ წოდებული ინტელექტუალური „ინტოქსიკაციაა“: შთაბეჭდილებათა ზედმეტი მიღება, რომლებიც აზიანებენ ფსიქიკას. შედეგად ადამიანი, რომელმაც ზედმეტად დიდხანს უყურა სურათებს, განიცდის თავბრუსხვევას, დაბნეულობას, გახშირებულ გულის ცემას“.

მხატვარ ფერნანდო ბოტეროს საყვარელი „ღვთისმშობლის“ მზერისგან გული არ წაგივა. შეიძლება ფასით კი — პოზიტიური სქელი ქალწული გაყიდეს „სოთბისში“ 872500 დოლარად.

### რისი რცხვენიათ ზვიგენებს?

**წავიკითხე, რომ ზვიგენები თავდასხმის დროს თვალებს ხუჭავენ. რატომ? რცხვენიათ?**

როგორც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში აგვიხსნეს, ისინი ასე იცავენ მხედველობას მსხვერპლის შესაძლო დარტყმისგან.

იქნებ დავფიქრებულიყავით, რომ თქვენს პარტნიორსაც შეუძლია ასევე დახუჭოს თვალი კოცნის წინ.



### რატომ მელოტდებიან ჩვენი უმცროსი ძმები?

**წავიკითხე მელოტი ზღარბის შესახებ, რომელსაც ბრიტანელმა ვეტერინარებმა ვერაფერი უშველეს. საინტერესოა, ცხოველებიც სიბერის გამო მელოტდებიან, როგორც ადამიანები?**



გვიპასუხებს ვეტერინარი ექიმი, ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი **მარია სტეპანოვა**: — ხანდაზმულობის ასაკში ბევრი ცხოველი კარგავს ბეწვს. მაგრამ სიმელოტე სიბერისგან როდი მოდის, ის მოდის ვიტამინების უკმარისობისგან. ბეწვის ცვენის მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე ალერგია, ან რაიმე სხვა პარაზიტები. მათთვის ბალნის საფარის აღდგენა ისეთივე ძნელია, როგორც ჩვენთვის.

ხალხო, ნუ დაკარგავთ ოპტიმიზმს! ინგლისურმა მელოტმა ზღარბმაც ხომ მონახა თავისი მეგობარი. თუმცა, ისიც ნახევრად მელოტია.

### ვისთვისაა სასარგებლო კბენა?

**მოვისმინე, რომ ფუტკრის კბენა სასარგებლოა. ნუთუ ეს სიმართლეა?**

— მართლაც, არსებობს მკურნალობის ისეთი მეთოდი, როგორიცაა აპითერაპია. ის შეიცავს არა მხოლოდ თაფლისა და ფუტკრის რძის გამოყენებას, არამედ მათ კბენასაც, — განმარტავს თერაპევტი **ოლეგ ჟდანოვი**. — ამგვარად მკურნალობენ დაავადებათა საკმაოდ ფართო სპექტრს, იგი ამაღლებს იმუნიტეტსაც. მაგრამ აპითერაპიის გამოყენება დამოუკიდებლად, ექიმის კონტროლის გარეშე, არ შეიძლება. ფუტკრის შხამი — უძლიერესი ალერგენია. ადამიანისთვის ლეტალური დოზა 500 კბენაა.



ეს იური ლუჟკოვი არ გეგონოთ. ეს არის ჩინელი მეფუტკრე-ექსპერიმენტატორი იან ჩუანგუანი.

## ◉ ინფორმაცია

### კომპანია „ალფას“ 2010 წლის საპატიო წოდება მიენიჭა

**სადაზღვევო კომპანია „ალფას„ „სოფლის მაშენებლის„ ტიტული გადაეცა. ეს ტიტული — 2010 წლის საპატიო წოდება, 30-მდე კომპანიამ მოიპოვა. სოფლის მაშენებელთა და ერის მოამაგეთა დაჯილდოვების ცერემონიალი კლუბ „ტრიუმფში“ გაიმართა.**

**„ალფა„ ორი წელია, რაც სადაზღვევო ბაზარზე გამოჩნდა.**

**„ჩვენც, როგორც „ავერსის“ შვილობილი კომპანია, საზოგადოების წინაშე კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ“, — აღნიშნა „ალფას“ გენერალურმა დირექტორმა ედუარდ ცხოვრებაძემ.**

**„სოფლის მაშენებლის“ წოდება მიღებული აქვს „ავერსი-ფარმას“, ასევე „ავერსის კლინიკას.“**

ჯი-ეიჩ-ენი

## განცხადება

სააქციო საზოგადოება „ელვა“ აცხადებს აუქციონს შავი ლითონის ჯართის გაყიდვის მიზნით. აუქციონზე გატანილი იქნება 16 ტონა ჯართი საწყისი ფასით 290 ლარი დღგ-ს ჩათვლით. ჯართის დაჭრა-დახარისხებას და ტრანსპორტირებას ახდენს მყიდველი საკუთარი სახსრებით. აუქციონი შედგება ამა წლის 14 დეკემბერს სს „ელვას“ ტერიტორიაზე — ჯიქიას ქ. (ანა პოლიტკოვსკაიას) №5.

სალიკვიდაციო კომისია

ბატუტზე ხტომა

# „იმედი" 12 წლისაა



**უკვე გაუწყეთ, რომ საფრანგეთის ქალაქ მეცში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე უმცროს ასაკში ანა ოდიშვილმა ჩემპიონობა მოიპოვა ინდივიდუალურ ხტომებში, სინქრონულ ხტომებში კი თეონა ჯანჯღავასთან ერთად მე-5 ადგილზე გავიდა.** ოდიშვილი 12 წლისაა, შარშან მსოფლიოს პირველობაზე „ბრინჯაო" დაიმსახურა, ეროვნულ ჩემპიონატში ყველას აჯობა, 2008 წელს კი საბერძნეთში „სპარტაკუს თასი" მოიგო როგორც ინდივიდუალურ, ისე სინქრონულ ხტომებში. ნორჩი ჩემპიონი რევაზ გამხოშვილის, ლია ხრიკულისა და ნაკრების მთავარი მწვრთნელის ზაურ სულაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. მეცში მიღწეული წარმატებისთვის ოდიშვილს საქართველოს სპორტის მინისტრის მოადგილემ დავით ნამგალაურმა სამინისტროში შეხვედრა მოუწყო, ფასიანი საჩუქარიც გადასცა. „ბატუტზე" ხტომაში ტრადიციები გვაქვს და გამარჯვებაც შეგვიძლია, რაც მსოფლიოს ჩემპიონატმაც დაადასტურა. ანა წლეულს პრემიას მიიღებს. სპორტის სამინისტრო ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაციას მომავალშიც არ მოაკლებს თანადგომას", — აღნიშნა დავით ნამგალაურმა.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: მარცხნიდან მეორე — ანა ოდიშვილი.**

ჭადრაკი

# „მაქაბის" ჯილდო - საუკეთესოებს

**გუშინ თურქეთში მსოფლიოს ინდივიდუალურ ჩემპიონატში საასპარეზოდ გაემგზავრნენ ქართველი დიდოსტატი ქალები — ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი და სოფიკო ხუხაშვილი, რომლებსაც თან ახლავან პირადი მწვრთნელები — ხვიჩა სუპატაშვილი, ზურაბ სტურუა, მერაბ გაგუნაშვილი და დავით არუთინიანი.**

თურქეთში წასვლამდე ებრაული თემის სახლში საინტერესო ღონისძიება გაიმართა, რომელიც საჭადრაკო ტურნირის — „ამომავალი ვარსკვლავი 2010"-ის დასრულებას მიეძღვნა. ასპარეზობის გამარჯვებულები და პრიზიორები — ნიკოლოზ ხუციშვილი (I ადგილი), თორნიკე კენკებაშვილი (II), ლაშა ნონიაშვილი (III) და ანა გვენეტაძე (I), შესაბამისი ხარისხის მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

საგულისხმოა, რომ ეს მოჭადრაკეები ებრაული თემის სახლში გახსნილი იმ სექციის წევრები არიან, რომელსაც დიდოსტატი სოფიკო ხუხაშვილი ავარჯიშებს.

ტურნირის საზეიმო დახურვისას „მაქაბის" მესვეურებმა ბოლო ათწლეულის საუკეთესო ქართველ ებრაელ სპორტსმენებს — სოფიკო ხუხაშვილსა და კარატისტ ლევან გორელაშვილს სპეციალური პრიზებიც გადასცეს.




**ლექსო ცინცაძე**

ფარიკაობა

# მეხუთე ადგილს დასჯერდა

**თექვსმეტი წლის მიხეილ მარდალეიშვილი ოთხი წელიწადია, მერაბ ბაზაძის ხელმძღვანელობით ფარიკაობაში ვარჯიშობს. კადეტებში საქართველოს სამგზის ჩემპიონმა შარშან საერთაშორისო სარბიელისაკენ გაიკაფა გზა — ევროპის ფარიკაობის კონფედერაციის მიერ ორგანიზებულ კონტინენტის თასის გათამაშების ორ ეტაპში მიიღო მონაწილეობა და შეჯიბრებებიდან ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდა.** წლეულს მსგავს შეჯიბრებაზე უნგრულ გოდოლიში 189 მოფარიკავეს შორის მეთერთმეტე იყო, ახლახან მოსკოვში კი ექვსი საფეხურით წაიწია. რუსეთის დედაქალაქში მან 14 მეტოქეს სძლია და მეოთხედფინალში ამერიკელ დერსვიტს დაუპირისპირდა. პაექრობას 13:12-ს იგებდა, მაგრამ მეტოქის ბოლო სამი იერიში ვერ მოიგერია და 13:15 დამარცხდა. საბოლოოდ მარდალეიშვილი მე-5 ადგილს დასჯერდა. 11-12 დეკემბერს იგი სპორტის სამინისტროს დაფინანსებით გერმანიაში გაემგზავრა ევროპის თასის ბოლო ეტაპზე საასპარეზოდ, შემდეგ კი დაიწყებს მზადებას ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის, რომლებიც გაისად ავსტრიასა (თებერვალი) და იორდანიაში (მარტი) გაიმართება.



**გივი გაგუა**

ეს საინტერესოა

# „თავზეხელაღებულთა" ლიდერები

**თავზეხელაღებულთა „ქერის ორმოს" — „ფორმულა-1"-ის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდა. მის პერიპეტიებზე ჩვენი გაზეთიც არაერთხელ უამბობდა მკითხველს, მაგრამ ამ უაღრესად რისკიანი სანახაობის 60-წლიანი მატიანე მაინც ამოუწურავი თემაა და მის ტრიუმფატორთა ნუსხის შეხსენებით დღეს კიდევ ერთხელ შევეცდებით გულშემატკივართა ინტერესის დაკმაყოფილებას.**

1950 წლიდან მოყოლებული, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ყველაზე მეტჯერ — შვიდჯერ გერმანელი „წითელი ბარონი" **მიხაელ შუმახერი** ავიდა. არგენტინელი **ხუან მანუელ ფანხიოს** ანგარიშზეა ხუთი გამარჯვება, ხოლო ფრანგმა **ალენ პროსტმა** ოთხჯერ დაიდგა გვირგვინი. რეკორდსმენთა ტრიოს კვალში უდგანან ავსტრალიელი **ჯეკ ბრებჰემი,** ბრიტანელი **ჯეკი სტიუარტი,** ავსტრიელი **ნიკი ლაუდა** და ბრაზილიელები — **ნელსონ პიკე** და **აირტონ სენა** — 3-3 „გრან-პრი". კიდევ ექვსმა პილოტმა მოახერხა „დუბლის" შესრულება. ესენი არიან იტალიელი **ალბერტო ასკარი,** ბრიტანელები — **გრემ ჰილი** და **ჯიმ კლარკი,** ბრაზილიელი **ემერსონ ფიტიპალდი**, ფინელი **მიკა ჰაკინენი** და ესპანელი **ფერნანდო ალონსო.**



განსაკუთრებული პატივითაა მოსახსენიებელი „ფორმულა-1"-ის პირველი ჩემპიონი **ჯუზეპე ფარინა** (იტალია). მის გარდა, თითოჯერ იპირველეს **მაიკ ჰოტორნმა** (ბრიტანეთი), **ფილ ჰილმა** (აშშ), **ჯონ სარტიზიმ** (ბრიტანეთი), **დენი ჰიუმმა** (ახალი ზელანდია), **იოხენ რინდტმა** (ავსტრია, სიკვდილის შემდეგ), **ჯეიმს ჰანტმა** (ბრიტანეთი), **მარიო ანდრეტიმ** (აშშ), **ჯოდი შექტერმა** (სამხრეთ აფრიკა), **ალან ჯონსმა** (ავსტრალია), **კეკე როსბერგმა** (ფინეთი), **ნაიჯელ მენსელმა** (ბრიტანეთი), **დეიმონ ჰილმა** (ბრიტანეთი), **ჟაკ ვილნევმა** (კანადა), **კიმი რაიკონენმა** (ფინეთი), **ლუის ჰემილტონმა** (ბრიტანეთი), **ჯენსონ ბატონმა** (ბრიტანეთი) და წლევანდელი სეზონის გმირმა **სებასტიან ფეტელმა** (გერმანია).

რაც შეეხება კონსტრუქტორთა დავას, აქ აშკარაა **„ფერარის"** უპირატესობა — 15 წარმატება, რომლის უახლოესი მდევრებიც არიან **„მაკლარენი"** — 12, **„უილიამსი"** — 7 და **„ლოტუსი"** — 6 ტიტული.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## კიმ კლაისტერსი — წლის ჩოგბურთელი




**2010 წლის საჩოგბურთო სეზონის შედეგების მიხედვით ბელგიელი ჩოგბურთელი ქალი კიმ კლაისტერსი ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა ღია კენჭისყრით დაასახელეს წლის საუკეთესო ჩოგბურთელად.**

**27 წლის კიმმა ასეთი საპატიო ტიტული 2005 წელსაც მოიხვეჭა.**

განვლილი სეზონი კლაისტერსისთვის ნამდვილად წარმატებული იყო. ბელგიელმა გაიმარჯვა 5 შეჯიბრებაში, მათ შორის — „დიდ მუზარადსა" და — US Open-ში. მან ასევე ბრწყინვალედ ითამაშა წლის შემაჯამებელ ტურნირზე დოჰაში.

კიმმა სპეციალური ჯილდო საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისთვისაც დაიმსახურა.

## მოთხილამურეები — ავარიაში

**მიკროავტობუსს, რომელშიც იმყოფებოდა შვეიცარიის მოთხილამურეთა ნაკრები, შვედეთის ესტერსუნდში დაეჯახა სატვირთო მანქანა. მიკრო-**



**ავტობუსში ყველაზე მეტად დაზარალდნენ მწვრთნელები, ოთხი დაიჭრა, ორი მათგანი მძიმე ტრავმებით გადაიყვანეს საავადმყოფოში.**

ყველაზე სერიოზულად დაშავებული სპეციალისტი ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი სტივ ლოშეა — მას დაემსხვრა მენჯი და კისრის მალები. საბედნიეროდ, არ დაზიანებია ზურგის ტვინის არხი.

ლოშე და მისი კოლეგა კიორდინ ფასერი, რომელსაც ტვინში სისხლი ჩაექცა და მარცხენა ფეხი მოსტყდა, სტოკჰოლმის მახლობელ ჰოსპიტალში მოხვდნენ. დაზარალდა შვეიცარიის გუნდის კიდევ ორი წევრი, თუმცა მათი ტრავმები შედარებით უმნიშვნელოა და ჰოსპიტალიზაცია არ დასჭირვებიათ.

## ვითომ ფერარის დაიბრუნებს?



**ძალზე პოპულარულ მანქანასა და საჯინიბოზე კი არა, ვენესუელელი მოდელის აიდა ისეპიკის ყოფილ ქმარზე, „რომას" ექსმცველ მატეო ფერარიზეა ლაპარაკი, რომელთა ვითომდა შეერთებაზე მთელი იტალიური პრესა ჭორაობს. აიდამ მატეოზე თქვა: „ის დიდებული მამა და ძალზე კარგი ადამიანია". განა ეს ეყოფა ქმრის დასაბრუნებლად?**

სხვათა შორის, ამას წინათ ფერარი ნახეს ვილაც ორ ქალიშვილთან ერთად, თანაც, როგორც ამბობენ, ის არ აპირებს აიდასთან დაბრუნებას. ყოველ შემთხვევაში, იტალიელი მცველი უარყოფს მოვლენების ასე განვითარებას.

უნდა გითხრათ, რომ აიდა სახლში როდია გამოკეტილი, ქმარზე დამწუხრებული. სატელევიზიო შოუში ეროტიკული ცეკვის შემდეგ, რომლითაც ის მატეოს თითქოს უკან ეპატიჟებოდა, ვენესუელელმა ლამაზმანმა ზღვაზე ახლობლების წრეში კარგი დრო გაატარა.

კულტურა

# „სუსა“ და სხვები...

## „თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი – 2010“ იწყება

**2010 წლის 6 დეკემბერს საქართველოში დაიწყება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა, რომელიც კინოხელოვნების ცენტრ „პრომეთეს“ მიერ არის დაარსებული 2000 წელს. საუბარია თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე (TIFFძ. წელს თბილისი ფესტივალს უკვე მეთერთმეტედ უმასპინძლებს საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.**

ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება კინოთეატრ „ამირანში“ რეჟისორ ოთარ იოსელიანის ფილმით „შანტრაპა“. კინოფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულია 19 ქვეყნის (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ესპანეთი, საქართველო, რუსეთი და ა. შ.) 100-მდე მხატვრული, მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმის ჩვენება.

საქართველოს საერთაშორისო კონკურსში წარადგენს რუსუდან პირველის სადებიუტო ფილმი **„სუსა“**. საერთაშორისო ჟიურის უხელმძღვანელებს ბერლინის ფესტივალის ორგზის გამარჯვებული სერბი რეჟისორი ჟელიმირ ჟილნიკი, ხოლო საქართველოდან ჟიურის წარმომადგენელი წევრი იქნება ნანა ჯორჯაძე. ფილმები შეფასდება ორ ნომინაციაში – საუკეთესო ფილმი და საუკეთესო რეჟისორი და გაიცემა ორი პრიზი – ოქროს და ვერცხლის პრომეთე. ჟიური ინოვაციური კინოენის ძიებისთვის ასევე დააჯილდოებს ერთ გამორჩეულ ფილმს ფარაჯანოვის სახელობის პრიზით, ხოლო, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ადამიანის უფლებათა და მშვიდობის სპეციალური პრიზით დააჯილდოებს ერთ საუკეთესო ფილმს.

ფესტივალს განსაკუთრებული საღამოსთვის ეწვევა ამერიკელი კომპოზიტორი ბეთ კასტერი და მისი ანსამბლი. კოტე მიქაბერიძის კინოლეგენდას **„ჩემი ბებია“** ისინი სპეციალურად ფილმისთვის შექმნილი ცოცხალი მუსიკით გააფორმებენ.

კინოფესტივალზე აკრედიტებული იქნება ასამდე უცხოელი კინომოღვაწე – რეჟისორები, პროდიუსერები, კინომცოდნეები, მსახიობები, ფესტივალის მენეჯერები, ჟურნალისტები. ჩატარდება მასტერკლასები, ვორქშოფები და შეხვედრები. კინოთეატრ „ამირანის“ ფოიეში კი მოეწყობა გია გოგატიშვილის ფოტოგამოფენა, რომელიც ასახავს გასულ წლებში ფესტივალის გამორჩეულ მოვლენებს.

ფესტივალი საზეიმოდ დაიხურება 11 დეკემბერს კინოთეატრ „ამირანში“ ალეკო ცაბაძის სურათით **„რენე მიდის ჰოლივუდში“**.

იმედი ვიქონიოთ, რომ წელს გამართული ფესტივალი უფრო ღრმა შინაარსის მქონე იქნება და მაყურებელს საშუალება მიეცემა გაეცნოს და ჩასწვდეს თანამედროვე მსოფლიო კინოს ტენდენციებს, ხოლო ეს პროფესიონალური შეხვედრები, მასტერკლასები, თუ სხვა ტიპის ჩვენებები, სტიმულს მისცემს ჩვენს ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებს თავიანთი შემოქმედებითი არიალის გაფართოებისთვის.

**ლუკა წერეთელი**

ფოტოკონკურსი

# სიღარიბეს ასე ვერ დავძლევთ...



**ბელგიაში, ბრიუსელში მოძრავი გამოფენა-კონკურსის „მათი მზერის მიღმა“ დასკვნითი ეტაპი გაიხსნა. მისი ორგანიზატორია საერთაშორისო ორგანიზაცია WIDE – გენდერული თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის გლობალიზაცია.**

საერთაშორისო ფოტოკონკურსი კოალიცია RAT-მა პარტნიორებთან ერთად ჯერ კიდევ 2008 წელს გამოაცხადა. ფოტოკონკურსში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ალბანეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ბელორუსიაში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, მაკედონიაში, მოლდოვეთში, მონტენეგროში, სერბიაში, უკრაინასა და უზბეკეთში.

ფოტოკონკურსი ევროკომისიის მიერ დაფინანსებული მსხვილი რეგიონალური პროექტის ნაწილი იყო.

ფოტოკონკურსმა სულ 50 ფოტო გამოავლინა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში გამოიფინა, სამი გამარჯვებული ავტორი კი გამოფენის დახურვაზე მიიწვიეს. მათ შორის არის მესამე ადგილზე გასული **ოლიკო ცისკარიშვილი** ფოტოთი **„სიღარიბის ზღვარს მიღმა“.**

„რატომ გადაიღე მაინცდამაინც მათხოვარი ქალი?“ – ჰკითხეს ოლიკოს ბელგიაში.

**„ჩვენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, 2008 წლის ომი, ყველაზე მეტად ქალთა მდგომარეობაზე აისახება, – ასე დაიწყო ბრიუსელში გამოსვლა ოლიკო ცისკარიშვილმა, – ქალები იბრძვიან, რომ ოჯახი გადარჩეს – ფიზიკურად. მათი უმრავლესობა ან ბაზარში დგას დღე და ღამე და პროდუქტებს ყიდის, ან სიღარიბესა და შიმშილს ქუჩაში ხელგაშვერილი ებრძვის და მოწყალებას ითხოვს.**

**რამდენია სოციალურად დაუცველი ადამიანი საქართველოში, ამის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. სინამდვილე მკაცრი და უხეშია. იმის მიუხედავად, რომ მმართველი პარტიის სლოგანია: დავძლიოთ სიღარიბე, ბევრი ადამიანი უკიდურესი სიღარიბის ზღვარს მიღმაა, გადარჩენისთვის, ლუკმაპურის საშოვნელად ქუჩას მიმართავს და ხელგაწვდილი გამვლელების კეთილი ნების იმედადაა. ეს ქალიც, თავის შვილთან ერთად, ერთ-ერთი მეტროსადგურის წინ მოწყალებას ითხოვდა...**

**რატომ გადავიღე? რატომ ავირჩიე ეს თემა? რატომ ვწერ და ვიღებ სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებს? ხშირად მეც ვუსვამ ჩემს თავს ამ კითხვას... თუმცა, მაინც მგონია, რომ ჟურნალისტი ის ადამიანია, რომელიც შუამავალია ხალხსა და ხელისუფლებას შორის. ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, იმ ადამიანებს, რომლებიც კომფორტული მანქანებით სიარულისას ჩამუქებული ფანჯრებიდან ვერ ამჩნევენ ქუჩების კუთხეებსა და მეტროსადგურების წინ მსხდომ, სამოწყალოდ ხელგაშვერილ ადამიანებს, ამ საშუალებით მაინც დავანახვო, რომ ისინი არსებობენ და დახმარებას საჭიროებენ.“**

**თამარ შაიშმელაშვილი**



სულთათანა

# ისინი მართლაც არ იყვნენ უბრალო ბიჭები...







**ანანია სალუქვაძე, თემურ ებრალიძე და თემო დვალიშვილი. ამ თანმიმდევრობით წავიდნენ შარშან და ასევე მიეწყო ერთმანეთს მათი წლისთავები წლეულს.**

**ვინ არის შემდეგი? რა ხანია, ამ კითხვამ ჩემი თაობისთვის დაკარგა ემოციური სიმხურვალე და ბანალური სიგრილით ჟღერს – ჩემი თაობაც ნელ-ნელა მიდის – ორმოცდაათს კაი ხანია გადავაბიჯეთ.**

**სამივე თხემით ტერფამდე ქართველი, რაინდული სულის, ნაღდი ქალაქელი, რომელთა სიტყვასაც წონა და გემო ჰქონდა ქალაქში, უბანში, ზეპურ საზოგადოებაშიც!**

**ჰქონდა, რადგანაც, რომ იტყვიან, ქიციც იცოდნენ და ქიცმაცურიც ამ მრავალმხრივ განათლებულმა, ნიჭიერმა, ერუდირებულმა ადამიანებმა.**

**დღეს თემო დვალიშვილის წლისთავია, რომლის გარდაცვალება უცნაურად დაემთხვა საკუთარი საფიცარი ძმის დაბადების დღეს. „სიკვდილი – სიცოცხლის მეორე სახელი“, – აკი წერდა თავის ერთ ლექსში ანანია.**

**ამ წერილის სათაურიც გიზო ნიშნიანიძის შესანიშნავი წიგნიდან „პაემანი ვერაზე“ ავიღე, რომლითაც ბატონი გიზო „იმ თბილისის“ ადრე წასულ ბიჭებს მოეფერა. იგივე ჩემი თაობის ბიჭების მიმართ მინდა ვთქვა: „ისინი უბრალო ბიჭები არ იყვნენ, გამოირჩეოდნენ ტოლებში, სწორებში, რა ვუყოთ, მწვერვალზე თუკი ვერ ავიდნენ, ფონი ვერ მოძებნეს ცხოვრების მორევში. ამოსვლისთანავე მათი მზე ჩავიდა, ამიტომ ადგნენ და... ადრე წავიდნენ“...**

**ალბათ ძნელია უკეთესად თქმა, ჰოდა, ეს წერილი ჩემგან თქვენი უკანასკნელი მოფერება იყოს, ბიჭებო თემო, ანანია, თემურა! დანარჩენი, მანდ რომ მოვალ, მაშინ ვთქვათ...**

**„ნამდვილი ადამიანები მიდიოდნენ, ახვრიონი რჩებოდა“...**

**ეს დიდი ჭაბუას ნათქვამია საკუთარ ძმაკაცებზე. მართლაც...**

**დათო მხეიძე**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ჩვენი გაზეთის ავტორს, ცნობილ პუბლიცისტს, ქალბატონ გულნარა სტურუას მეუღლის**

**ალექსანდრე გიგინეიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**საქმე №2/409**

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება

**საქართველოს სახელით**

10 ნოემბერი, 2010 წ. ქ. ფოთი

**ფოთის საქალაქო სასამართლო**

**მოსამართლე თეა ბერაია**

**მხარეები:**

**მოსარჩელე: სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“**

**წარმომადგენელი: თორნიკე ქათამაძე**

**მოპასუხეები: ლალი ხელაია, თამაზ გოგინავა, მალხაზ გოგინავა**

**დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია**

**გადაწყვიტა:**

1. მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლისძ წარმოუდგენლობის გამო.

2. დაკმაყოფილდეს სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ სარჩელი.

3. მოპასუხეებს ლალი ხელაიასა და თამაზ გოგინავას სოლიდარულად დაეკისროთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ სასარგებლოდ დავალიანების – 2020.37 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარებში და მოსარჩელის მიერ გადახდილი სახ. ბაჟის – 110 ლარის გადახდა.

4. მოხდეს სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული მალხაზ გოგინავას კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე – ქ. ფოთი, ჩელუსკინელების ქ. №63, მიწის (უძრავი ქონებისძ სარეგისტრაციო №411/4/17/9 რეალიზაცია აუქციონის წესით.

5. განემარტოთ მოპასუხეებს, რომ ამ გადაწყვეტილებაზე შეუძლიათ შემოიტანონ საჩივარი ამავე სასამართლოში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

**მოსამართლე (ხელმოწერილიაძ თეა ბერაია**
**ასლი სწორია**
**მოსამართლის თანაშემწე**
**ინგა გიგიბერია**

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“

**განცხადება**

**თამაშის შეწყვეტის თაობაზე**

**მომხმარებელთა საყურადღებოდ!**

მომენტალური გათამაშების ლატარიის წესების თანახმად, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ აცხადებს, რომ 2010 წლის 1 დეკემბრიდან შეწყდა მომენტალური ლატარიის თამაში №003, სახელწოდებით „საახალწლო მოგება“. აღნიშნული თამაშის ლატარიის ბილეთებზე დატანილი წესების თანახმად მოგებაკუთვნილი ბილეთების განაღდება უნდა მოხდეს თამაშის შეწყვეტის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 180 დღის განმავლობაში.შესაბამისად,მომენტალური ლატარიის თამაშის №003, სახელწოდებით „საახალწლო მოგება“ მოგებაკუთვნილ ბილეთებზე მოგება არ გაიცემა 2011 წლის 29 მაისიდან.

**რეალიზატორთა საყურადღებოდ!**

რეალიზატორთა მიერ 2011 წლის 29 მაისის შემდეგ, მომენტალური ლატარიის თამაშის №003, სახელწოდებით „საახალწლო მოგება“, მოგებაკუთვნილი ბილეთების განაღდების შემთხვევაში, რეალიზატორის მიერ მოგების სახით გაცემული თანხა შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ მიერ არ ანაზღაურდება.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.

გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.



ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7669 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3141 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7611 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6171 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |




## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ

ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.


## ◎ ინფორმაცია

შს სამინისტროს ინფორმაციით, 2010 წლის 27 ნოემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ ლანირში თავის საკარმიდამო ნაკვეთში აღმოჩენილ იქნა 1951 წელს დაბადებული ნიკოლოზ დომენტის ძე ჯიბაშვილის გვამი, რომელსაც კისრისა და სახის არეში მიყენებული ჰქონდა მრავლობითი ნაკვეთი ჭრილობები, რის შედეგადაც აღნიშნული პიროვნება ადგილზე გარდაიცვალა.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და

### დაკავებულია მკვლელობაში ბრალდებული არასრულწლოვანები

სამტრედიის რაიონული სამმართველოს მიერ ცხელ კვალზე ერთობლივად გატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს 1995 წელს დაბადებული არასრულწლოვანი და აღნიშნული დანაშაულის თანამონაწილე 1992 წელს დაბადებული შალვა ფარულავა.

არასრულწლოვანმა და შალვა ფარულავამ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ნიკოლოზ ჯიბაშვილს თავის არეში ჩაარტყეს ქვა, რის შედეგადაც დაკარგა გონება. შემდეგ ნაჯახის გამოყენებით მიაყენეს კისრისა და სახის არეში მრავლობითი ჭრილობა.

დაკავებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ჯი-ეიჩ-ენი

## ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +10 – +18 |
| ქუთაისი. | +14 – +20 |
| ბათუმი. | +15 – +24 |
| ზუგდიდი. | +14 – +22 |
| თელავი. | +5 – +16 |

## ◎ დღის კალენდარი — 3 დეკემბერი



ამოდის 07.10
ჩადის 16.31



ამოდის 04.32
ჩადის 14.33

წინადღესასწაული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებისა. ხსენება ღირსი გრიგოლ დეკაპოლელისა (816ძ; წმიდა პროკლესი – კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსისა (446-147ძ; მოწამე დასისა (IIIძ; მოწამეთა ევსტათისა, თესპესი და ანატოლისა (312ძ; მღვდელმოწამეთა: ნერსე ეპისკოპოსისა და იოსებ მოწაფისა მისისა, იოანესი, სავერისა, ისააკისა და იპატისა – სპარსელ ეპისკოპოსთა და მოწამეთა აზატი საჭურისისა, სასონისა, თეკლესი, ანნასი და სხვათა მრავალთა დედათა და მამათა, სპარსეთში წამებულთა (343ძ.

### დაიბადნენ:

**1596 – ნიკოლო ამატი,** განთქმული იტალიელი მევიოლინე, გარდაიცვალა 1664 წელს.

**1823 – სტანისლავ დოსპევსკი,** ბულგარეთის აღორძინების ეპოქის ფერმწერი, გარდაიცვალა 1878 წელს.

**1857 – ჯოზეფ კონრადი,** ინგლისელი მწერალი, გარდაიცვალა 1924 წელს.

**1883 – ანტონ ვებერი,** ავსტრიელი კომპოზიტორი და დირიჟორი, გარდაიცვალა 1945 წელს.

**1885 – გიორგი ჩუბინაშვილი,** ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი, გარდაიცვალა 1973 წელს.

**1887 – ძუკუ (პორფილეძ ლოლუა,** მომღერალი, ლოტბარი და პედაგოგი. გარდაიცვალა 1942 წელს.

**1901 – ლევან გოკიელი,** მათემატიკოსი და ლოგიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გარდაიცვალა 1975 წელს.

**1922 – ჟერარ ფილიპი,** გამოჩენილი ფრანგი მსახიობი, გარდაიცვალა 1959 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1743 – ვიტორე გისლანდი,** იტალიელი ფერმწერი.

**1789 – კლოდ ჟოზეფ ვერნე,** ფრანგი ფერმწერი.

**1894 – რობერტ სტივენსონი,** ინგლისელი მწერალი, სათავგადასავლო რომანების ავტორი.

**1919 – პიერ ოგიუსტ რენუარი,** ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი.

### მოვლენები:

**1621** – გალილეო გალილეიმ გამოიგონა ტელესკოპი.

**1818** – ილინოისი აშშ-ს 21-ე შტატი გახდა.

**1910** – პარიზის ავტოგამოფენაზე პირველად იქნა დემონსტრირებული ნეონის ნათურა, რომელიც გამოიგონა ფრანგმა ფიზიკოსმა ჟორჟ კლოდმა.

**1967** – კეიპტაუნში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაძ პირველად იქნა ჩატარებული გულის გადანერგვის ოპერაცია, რომელიც განახორციელა პროფესორმა კრისტიან ბერნარდმა.

**1979** – ირანში მიიღეს ქვეყნის კონსტიტუცია.

**1971** – ინდოეთსა და პაკისტანს შორის საომარი მოქმედებები დაიწყო.

**ღირსსახსოვარი დღე:**

ინვალიდთა საერთაშორისო დღე.

მედიანიუსი


## შ ე ვ ი ძ ე ნ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.


## ◎ კადრი



## ◎ ანეკდოტები

ვიკილიკსით 300 ათასი საიდუმლო დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ მთელი მსოფლიოს მზვერავებმა და ჯაშუშებმა დემონსტრაციები გამართეს და შიმშილობაც გამოაცხადეს თავიანთი პროფესიული უფლების ხელყოფის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად...

* * *

– გამარჯობათ, რა მოხდა კარგი ჩემს არყოფნაში?

– სანამ შენ არ იყავი, ყველაფერი კარგად იყო.

* * *

პატარა ბავშვები სილაში თამაშობენ.

– მამაჩემს სამსახურიდან ფულის აი



ასეთი შეკვრები მოაქვს! – ამბობს ერთი მათგანი.

– დიდი ამბავი! მამაჩემს საერთოდ ტომრებით დააქვს ფული!

– კარგი რა, მაინც სად მუშაობს ასეთ ადგილას??

– ინკასატორია...

* * *

– ძვირფასო, გახსოვთ ჩვენი პირველი ღამე? – ეკითხება კაცი ქალს.

– შენი აზრით, შემიძლია მთელი იმ საშინელების დავიწყება?

* * *

ტიპი ძლიერ კოჭლობით გამოდის ციხიდან.

– რა მოგივიდა?

– მგონი, ჯდომისგან ფეხი დამიბუჟდა...


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.